საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული პარტია

№ 158 სამშაბათი, იანვრის 30 (12) 1918 წ. № 158

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დიოს 50 კაპ., შეკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., შეკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზე დამოკიდებული: 15×2 დიოს 8 მან., 20×2 დიოს 12 მან., 3 სვეტის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძისეული „ნადვილი") ბარათინის ქუჩა, სახლი № 14 და ყოფილა ერთი მანეთის მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახალხის კ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", почт. ящ. 190.

ფასი 20 კაპ.

ტელეფონი 12—29

გერმანიის და ავსტრიის წარმომადგენლები ბრესტ-ლიტოვსკიდან წავიდნენ: საზავო მოლაპარაკება დროებით შეწყვეტილია

რუმინიის ჯარმა კიშინოვ-იასის რკინის გზა დაიკავა.—უკრაინის მუშათა, ჯ.-კ. და გლეხთა საბჭო უკრაინის სრულუფლებიან ორგანად ცენტრალურ რადას სცნობს.—სმოლნის ინსტიტუტში ტერორისტთა ჯგუფები სდგება კალედინის, კორნილოვის, მილიუკოვის და სხვათა მოსაკლავად.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სახალხო საქმე"-ზე

ხელის მოწერის პირობები: წლით 50 მანეთი, ნახევარი წლით 27 მან., 3 თვით—13 მან. 50 კაპ. ერთი თვით—4 მან. 50 კაპ.

ნომერი ღირს 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით *Тифлисъ. ред. „Сахалхо Сакме", почт. ящ. 190,*

რედაქციაში მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი: 5—7 საათამდე. რედაქციის მისამართი: სახალხის ქ. № 6, შესავალი ეზოდან. კანტორაში ფულის მიღება მხოლოდ დღისით არის ღია.

უფალა ხელის მოსწერს ვინც მიიღო რედაქციიდან ხელის მოსაწერი ბლანკები ვთხოვთ ფული გამოგზავნონ შეცვლილ განცხადების მიხედვით.

ქართველ კათოლიკეთა პირველი დელეგატთა კრების აღმასრულებელი კომიტეტი აუწყებს საზოგადოებას ერთგულ კომიტეტის წევრის და საზოგადოების გულ-შემატკივარის

პეტრე გიორგის ძის ისარლიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს საღამოს 6 საათზე, გამოსვენება ოთხშაბათს, ხვალ იანვრის 31, საკუთ. სახლ. კოლონიალნი ქუჩა № 7. ქარ. კათ. ეკლესიაში კათოლიკეთა ქუჩაზე. 136

რომის კათოლიკის მიძინების ეკლესიის სამწყსოს ეროვნული ეროვნების მწყემსარებით იგლოვება გადაცვალებას ყოფილი ეკლესიის სინდიკის (მზრუნველის)

პეტრე გრიგორის ძის ისარლიშვილისას

რომელიც მოხდა 27 ამა იანვარს საღამოს 4 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. პანაშვიდი დღეს საღამოს 6 საათზე, საკუთარი ბინა, კოლონიის ქუჩა № 7. ცხედრის გამოსვენება ხვალ ოთხშაბათს დილის 10 საათზე. დაკრძალვა სოლოლაკის სასაფლაოზე. 137

გულ-დათუთქულნი ესტატე ნიკოს ძე თეოდორე და ნიკოლა ესტატეს ძენი დეკანოსიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი საყვარელ შვილის და მეორე უძვირფასესი ძმის მოსკოვის უნივერსიტეტის მე 3 კურსის სტუდენტის

ერმილე ესტატეს ძ ს დეკანოსიძის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს 1 თებერვალს ს. ხარისხევში სად. ბელაგორი. 138

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური სახლთან. შესრულება, ტელეფ. 19—66.

დღეს, 30 იანვარს გაიმართება

დიდი გენეფისი ძმ. იონაშებისა.

არტისტები შეასრულებენ თავის საუკეთესო ნომრებს. ძმ. იონაშები შეასრულებენ „ეორნეველის ზარებიდან" არიებს ითამაშებენ მუსიკის აკომპანიმენტით „ყაზბეგს", აჩვენებენ „ამერიკულ საკონდიტეროს", აჩვენებენ ფოკუსს „ალუმბლიან მურაბიან ფინჯნის დაკარგვა" და სხვ. მონაწილეობენ ავტოთვე მოჯირითე ქალი ბ—ლ პეპიტა; ბ—ლი X, რომელიც აზიურ ტანგოს შეასრულებს. ჭიდაობს 5 ყველი: 1. ზბიზკო და იალოვი, 2. რაბგო და მედელაური, 3. ჯოვ-ბორა და დობრინია, 4. ქერბეკ-როლანდი და სვობოდა, 5. ჭილინი და მადრაკელიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: ახლო მომავალში გაიხსნება საზამთრო სეზონი. 135

ქართული კლუბი

პარასკევს, 2 თებერვალს იაკობის სახელობის საბავშვო ბაღის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება

ცელქი შალვა

ბილეთები იყიდება საჩაიე „ძმურ ნუგეშში" და სახალხო საქმის კანტორაში. დასაწყისი შუადღის 12 საათზე. 1057

ქართ. დრამა. | ქართული კლუბი | წარმოდგ. № 28.

ხუთშაბათს, 1 თებერვალს, 1918 წ.

ტფ. ქართ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: ახალი ორიგინალური პიესა № №

გაფყვეტილი ჯაჭვი

3 მოქმ.

მათიკო

მე 3 მოქმედ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობენ ქ-ნი აბაშიძე ტ., ქიქოძე ა., ბ-ნი: აბაშიძე ვ., გვარაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იშხნელი გ., იმედაშვილი ა., ქავიძე ი., კობახიძე ი., მატარაძე ვ., შალიკაშვილი ვ., ციციშვილი ნ., სარაული მ.

დასაწყისი სადამის 7-ნახევარ ს. რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

საქართველოს კოოპერატივების

საყურადღებოდ

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თანახმად 2 თებერვალს ტფილისის გუბერნიაში (ქუთაისის გუბერნიას და ბათომის მიდამოების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული) მოწვეულია ყოველგვარ ტიპის (საკრედიტო, წარმოების, გამსაღებელი და მომხმარებელი) **კოოპერატივების შეერთებული სამაზრო ყრილობა.** ყრილობას უნდა დაესწროს თვითოეულ კოოპერატივის, სარაიონო, სამაზრო, საქალაქო, საგუბერნიო და ამიერკავკასიის საკოოპერაციო კავშირების თითო წარმომადგენელი (შეიძლება მეტიც). **განსახილველი** საგანია:

1. საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფინანსიური დახმარების აღმოჩენა,
2. საზოგადოდ კოოპერატივების მონაწილეობა ხალხში ფინანსიურ ორგანიზაციების შესაქმნელად ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ.

კრებები მოხდება ყველგან 2 თებერვალს, ყველგან დილის სრულს 11 საათზე და დაესწრება ტფილისიდან საქ. ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი:

გორის მაზრის კრებაზე ქალაქ,	**გორში საკრებულოს დარბაზში.**
ზაქათალის ტ ხილ-	სიღნაღის ქართულ კლუ-
ნალის. . „ „ „	ბის . . . „
თელავის და თიო-	თელავში შემნახვ.-გამ-
ნეთის . „ „ „	სესხ. ამხ. . „
ახალციხე-ახალქა-	ახალციხეში კოოპ. „შეს-
ლაქის . „ „ „	ხეთის" — . „
ტფილისი . „ „ „	ტფილისში ეროვნ. საბჭოს „
დუშეთის . „ „ „	დუშეთში საკრებულოს . „

კრების გადადება შეუძლებელია. საბჭოს სექციის მოწოდება ყველ კოოპერატივს დაეგზავნა ფოსტით. თუ ფოსტის მიზეზის გამო რომელიმე კოოპერატივმა არ მიიღო მოწოდების ფურცელი, კოოპერატივებმა უნდა ხელმძღვანელონ გაზეთში მოთავსებულ განცხადებითაც და თავისი წარმომადგენელი უეჭველად გაგზავნონ კრებაზე დანიშნულ დროს და ადგილს.

1049 ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.

ტფილისი, 30 იანვარი 1918 წ.

„იზვესტია" კარ წრეებში კვლავ **და საბჭოები** ლაპარაკია ეროვნულს საბჭოებსა, სერბსა და ამიერ-კავკასიის ცენტრზე, ყველაფერი აირია-დაირია და ერთი პარტიის ხალხიც კი ერთსა და იმავე საკითხს სხვა და სხვანაირად სწყვეტს, იბადება უთანხმოება, ჩხუბი და ერთმანეთის შეურაცხყოფაც კი. ამას მოწმობს სოციალდემოკრატ ნ. რამიშვილის და ჯუღელის ინცინდენტი ამიერ-კავკასიის მუშათა, სალდათთა და გლეხთა ცენტრში. ზემოხსენებული არევ-დარევა იტყობა ცენტრის ორგანოს „იზვესტიასაც". ამას წინად იგი სიხარულით აღნიშნავდა, რომ ტუსეთი ფედერატიულ რესპუბლიკად გადაიქცა. ერთად-ერთი ხსნა ეროვნებათა დამფუძნებელი კრებებია და შემდეგ ერების ფედერატიული კავშირია—სწერდა ამას წინად „იზვესტია". ეხლა კი თითქოს რაღაცისაგან შეშინებული იგი ილაშქრებს ყოველგვარ ეროვნულის და განსაკუთრებით კი ეროვნულ საბჭოთა წინააღმდეგ. ეროვნული საბჭოები თითქმის ყველა ტომის და ერისა, ამბობს გაზეთი—დადგნენ იმისთანა პოლიტიკას, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს დემოკრატიის ინტერესებთან. ეროვნებათა გაერთიანების მაგივრად გათაშვა შეიტანეს და ყველ წუთს მზად არიან ერთმანეთს დაერიონონ. ბოლოს გაზეთი მოითხოვს ეროვნულ საბჭოებს ან სრულიად მოსპობას, ან მათი უფლების რაც შეიძლება მეტად შეკვეცას.

რა ძველი ჰანგები და რა ძველი ლათაიებია გაზეთის სიტყვები! იგი ისევე არ ენდობა ერებს და მათ დამოუკიდებლად ცხოვრებას, როგორც ძველი ბიუროკრატია და მთავრობა. მას ვერ წარმოუდგენია, რომ ერებს შეუძლიანთ „უაპეკუნოდ" ცხოვრება. ძველი მთავრობაც ხომ ასე ამბობდა: მე რომ არ ვიყო, ერთმანეთს დასპამდითო. ერთი ვკითხოთ წერილის ავტორს: სად, რომელმა ეროვნულმა საბჭომ აწარმოვა შოვინისტური პოლიტიკა და რომელმა გაილაშქრა დემოკრატიის წინააღმდეგ? თუ მივიღებთ ხელმძღვანელობაში შემადგენლობას საბჭოებისას—ყოველად შეუძლებელია მისი დაგმობა. სომხის და საქართველოს ეროვნული საბჭოების დიდი უმრავლესობა შესდგება სწორედ იმ დემოკრატიის წარმომადგენელთაგან, რომელსაც ერი ანდობს თავის ინტერესების დაცვას. მეორე მხრით თათრების საბჭო თუმცა სოციალისტებისაგან არ შესდგება, მაგრამ მათი წარმომადგენლობა სწორედ ისეთი იქნება ყველგან, რანაირიც ეხლა საბჭოშია. თუ გვინდა ეროვნებებს ანგარიში (სხვაფრივ ხომ შეუძლებელია) გაუწიოთ, საკითხი სწორედ ასე უნდა დავსვათ და ვსთქვათ: ეროვნული თვითგამორკვევა და თავისუფლება თუ ბიუროკრატიული „ოპეკა". ამიტომ ყოველად დასაგმობია დაბეჭდვა იმისთანა დეკრეტიმორდული წერილებისა მთელი მხრის ცენტრის ორგანოში, როგორიც „იზვესტიას" ოცდა პირველ ნომერშია მოთავსებული. ეროვნული საბჭოები ერთად-ერთი რეგულიატორია და მომაწესრიგებელი ეროვნებათა ცხოვრებისა და ცენტრის გავლენა, მაგალითად, თათრებში ნულს უდრის. რანაირად უნდა მოაგვაროს საქმე, რა საშუალებით ჰსურს ცენტრს მაჰმადიანებთან იქონიოს ურთიერთობა, თუ კი იგი უარჰყოფს ამ საბჭოებს? ეგეშმარიტად, თვით არ იციან რას სჩადიან და უფრო კი რას ამბობენ.

როგორც თავში აღვნიშნეთ, ერთი პარტიის ხალხშიაც კი არაა თანხმობა ამ საკითხის შესახებ. ამიტომ პირდაპირი მოვალეობაა განსაკუთრებით იმ პარტიებისა, რომელთაც ჩვენი ცხოვრების საქმე ფეირავთ ხელთ—ეს საკითხი საბოლოოდ გადასწყვიტონ და წაჯიე უკუჯიეობას თავი ანებონ. ასეთი მერყეობა დამღუპველია ყველა ორგანიზაციისათვის და ყოველგვარ ავტორიტეტს უკარგავს საკანონმდებლოდ ერისა და რევოლიუციისა. ცენტრი რომ მესაჭეობას ვერ გასწევს—ეს უკვე აშკარაა, რადგან მრავალ შემთხვევაში უკვე დაამტკიცა თავისი უძლურება. ეროვნული საბჭოები ერთად-ერთი ბურჯია, რომელსაც უნდა დაეყრდნოს რევოლიუცია და ახლად დაარსებული სეიმი ამიერკავკასიისა. ვინც ამას ვერა გრძნობს და შეუძლებელს ეპოტინება—იგი საშინელს სიბეცეს იჩენს და რევოლიუციის საქმეს აფერხებს. დროა ეს შეიგნონ და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვას თავი ანებონ განსაკუთრებით მათ, ვის სიტყვასაც ჯერჯერობით ფასი არ დაჰკარგია, მაგრამ დაჰკარგავს და გაჰქრება, თუ მერყეობას თავი არ ანებებ და გარკვეულ გზას არ დაადგა. ამიერკავკასიის სეიმი ეროვნულ საბჭოებზე დაყრდნობილი—ამ დროებითი ჩვენი ორგანო, რომელიც ჩვენს აწეწილ მდგომარეობას ცოტა-ოდნად შეამსუბუქებს. ცენტრში მეთვალყურის და კრიტიკოსის როლი უნდა იკისროს და სხვა არაფერი. ეს საკითხი უნდა გადასწყდეს ეხლავე ერთხელ და სამუდამოდ.

ქართული პრესა

ფოთელი „ხალხის შეგობარი" სწერს ჩვენი ხალხის ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ სწერს:

ათას წლებში ნაცადი საქართველო, დღეს კვლავ სდგას იმ სუინქსის წინ, რომელშიც მისი არსებობის საიდუმლოებაა დაფარული. ბედისწერა ახალი განსაცდელის წინ გვაყენებს და ახალ ამოცანებს გვაწვდის გამოსაცნობად და გადასაწყვეტად, თუ ამოცნობ და გადასწყვეტ გასვალ სამშვიდობოს, თუ არა და დაიღუპები ვით ის ერები, დღეს რომ ისტორიის ფურცლებზეღა იხსენებიან ხოლოდ—ეს სიტყვები აწერია ჩვენს წინ მდგარ საიდუმლო სფინქსს. ქართლოსის დღევანდელ მემკვიდრეთა გონების სიბრძნეზე და სიმკვირცხლეზე და ფიზიკურ სიძლიერეზეა დამოკიდებული შეეძლებთ ახალი საფრთხის გადატანას თუ ვერა. ის რკალი, რომელიც გარს გვეკრა ისტორიის განმავლობაში, კიდევ უფრო მჭიდროდ შეიკრა და ვდგევართ მცირენი და დროის შესაფერი კულტურით და სიმდიდრით სუსტნი. დღესაც ისევე მარტონი ვართ, ვით ძველად, ისპანიისაკენ რომ მიემგზავრებოდა ჩვენი წინაპარი მონათესავეს სამებრად, საძმოთა და სამეგობროდ; დღესაც ისევე მცირენი ვართ და კიდევ მეტად ვიდრე დავითისა და თამარის დროის საქ. ვიყავით, მართალია, კარს გვადგია ახალი ცივილიზაციის გარეშე მდგარი ხალხები, მაგრამ თვის უკულტურობით ისინი მეტი საშიში არიან, რადგან იმპერიალიზმის გზაზე მდგარ ძლიერ და კულტურულ ერთათვის გამოსადეგ ძალას წარმოადგენენ ახალ კოლონიების ძესაქმნელად. ამასთან საკუთარი ორგანიზაციით და მეტი სიმდიდრით ხელში ჩვენი წინაპრები მეტ ძალას ქმნიდენ თავის დასაცავად ველურ და უორგანიზაციო ურდოთაგან. დროის განმავლობაში ჩვენ დავკარგეთ თითქმის ეს ძალები და დღევანდელი ჩვენი უპირატესობა ისტორიული ტრადიციებით უფრო არის გამოწვეული, ვიდრე ახალი დროის კულტურით.

ასეთ მდგომარეობაში შიში საქართველოზე არ არის უსაბუთო. უცხოთა შორის მომწყვდეული ორ მილიონიანი უნათესავო ერი შესაძლოა აღიგავოს თვის ნიადაგიდან და ორიოდე დარჩენილნი მისი შვილნი მსოფლიო მაწანწალად გარდაიქცეს ყოფილი კულტურის კიდევ დიდხანს მოსაგონებლად.

ეს შიში ყოველ კრიტიკულ განცდის ჟამს, ან ჟამს თავისუფლების დაკარგვისას და მშობლიურ კერის დანგრევისას მძაფრად განიცდებოდა საუკეთესო ქართველთაგან. მეთერმეტე საუკუნის გასულს რომ თავისუფლება დავკარგეთ, ამ თავისუფლების შვილნი დასტიროდნენ არა მარტო დაკარგულს; ამ დაკარგულ თავისუფლებასთან საქართველოს დაკარგვის შიში განწირულ ცრემლებს ბადებდა მათში მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეს შიში უფრო ტრაგიკული ხასიათისა იყო; ხოლო მეორე ნახევარში იმედი მუხლებს უმაგრებს და ბრძოლის წყურვილი ბრუნდება. მესამოცეანებმა ცრემლები ბრძოლის ხალისით შესცვალეს ქართული კულტურის კვლავ ახაზლელათ. მეოცე საუკუნემ ახალი იმედებით შემოდგა ფეხი, ეროვნული პოლიტიკა ახალ იმედებს ბადებდა. მაგრამ ამ იმედებს სოციალ-დემოკრატიის გავლენაში მყოფი ქართველივე დემოკრატია ფრთებს უკვეკავდა. ახალ ეპოქებსა და შიშს ნიადაგი ეძლეოდა. ამ შიშის გამომხატველი არჩილ ჯორჯაძე იყო, რომელიც კარგად გრძნობდა საქართველოს წარსულსა და აწმყოს ტრაგიკულ ყოფას და სურდა საშიშის დაძლევა ეროვნული დემოკრატიის შექმნით.

ამ საქმის დასაწყისში ვიწყოფენ ბოდით, როდესაც მსოფლიო ომმა მოგვისწრო და დიდი რევოლიუციაც თავს დაგვატეხა.

ამ ამბებმა ახალი სანოქარი პოლიტიკური პირისპირეტრიები გადაგვიშალა წინ. მაგრამ ამავე ამბებმა ახალი ძალიერი მოინტერესენი შექმნა ისტორიულად გამოცემულ შიშში. და ახლო მომავლის საქმეა ის, თუ რამელი ადგილი ამ ორში: შინაგან თუ საგარეოთველო... ვიზრუნოთ მეორე გამარჯვებისათვის.

პარლამენტარიზმი საქართველოში

ქართველ ერის მოწინავე ელემენტების ყურადღება ამ ჟამად არსებულ სარევოლუციო ცენტრებისაკენ არის მიპყრობილი. ქართველობის დემოკრატიისათვის—რამდენადაც იგი დემოკრატია მისდევს მენშევიკურ სოციალ-დემოკრატიას—რევოლიუციის მსვლელობა დასრულებულია. საქართველოში მაინც მთელი ხელმწიფოებრივი ძალა-უფლები მენშევიკების ხელშია და ამით ალარ ესაჭიროება რევოლიუციის არც გაღრმავება და არც გაფართოვება. მენშევიკები ეხლა იმ უფლებათა დარაჯის როლში იმყოფებიან, რომელნიც მოგვიტანა რევოლიუციამ, კიდევ ახალ უფლების ძების თვალსაზრისით, სხვა ცვლილებებისათვის მენშევიკები ბრძოლას ადარ აწარმოებენ და ამნაირად მენშევიკების რევოლიუციონერობასაც საზღვარი დაედო.

ვენ არ ვეხებით იმ საკითხს თუ რამდენად შეუძლებელია რევოლიუციის უფრო გაფართოვება. იმ აზრს უნდა შეუთანხმდეთ, რომ ქართველი ერი და რევოლიუცია (ჩვენში მაინც) იმ დონეზე იმყოფება, რომ დროა მარცხივ და მარჯვნივ რბევა ლეწვის მაგიერ სახელმწიფოებრივი ძალა შეიქმნეს, დაარსდეს მძლავრი ხელისუფლების მთავრობა და გაუძღვეს ერის საზოგადოებრივ საქმეებს. ასეთი წმინდა დადებითი სახელმწიფოებრივი საშუალება ამ ჟამად მით უმეტეს არის საჭირო, რომ რევოლიუციით მოპოებულ უფლებების კიდევ უფრო გამაგრება, გადიდება და წინ წაწევა წმინდა სახელმწიფებრივ მუშაობის საშუალებებით, ძალიან სასარგებლო იქნება ქართველ ერის დემოკრატიისათვის.

მართალი უნდა ითქვას, მენშევიკები სწორედ ასე უყურებენ დღეგანდელს ჩვენს ცხოვრებას და მართლა პრესაში ძალიან ბევრს ყვირიან რევოლიუციასა და ფეოდალიზმზე, მაგრამ მათი ჩეული მოწინავე პირები უკვე პოპულარულ პოლიტიკურ საქმეებს აკეთებენ. კანცელარიებში ხედან და ყოველდღე პროექტებს სთხზავენ მთავრობის მოსაწყობად.

ერთერთმეტი თვეა რაც მენშევიკების ხელშია მთავრობა და ამ ხნის განმავლობაში ისინი მუდამ მთავრობის შექმნაზე ლაპარაკობენ, ათასგვარი ორგანიზაცია შექმნეს, მრავალი კომბინაცია გამოიგონეს. მაგრამ არ იქმნა და არა, ვერ შეაგნეს მთავრობის შექმნის ძალას და მთავრობის პარტია დღესაც მთავრობის ძიებაშია. 21 იანვარს ეროვნულ საბჭოს (საქართველოსი) კრება ეყო და იქ ეორდანია მთავრობის ორგანიზაციას მიაქცევდა ჩვენს ყურადღებას, 22 იანვარს კავკასიის დეპუტატების კრება გაიხსნა და აქაც მენშევიკებმა კავკასიის პოლიტიკურ და ადმინისტრატიულ საკითხების არკვევენ ხოლო პოლიტიკურ საბრძნეზე ლაპარაკობენ 11 თვის განმავლობაში და ვერ იქმნა ვერ მოახერხეს ერთიანი დედა აზრის შემუშავება, რომ იმის მახეოვით საბოლოოდ მოწყობილიყო ჩვენი ქვეყანა.

პოლიტიკური მართვა გამგეობის საკითხი, მთავრობის ორგანიზაციის პრობლემა ეხლაც საღავო და გასაკეთებელი საქმეა და შეეცადოთ გავითვალისწინოთ არსებული ძალთა განწყობილება, ისეთი დრო დაგვიდგა, რომ შეუძლებელია კიდევ მოცდა და პრაქტიკულ მუშაობის მაგიერ სქოლასტიკის წარმოება.

პოლიტიკურ წყობილების და მართველობის მოგვარებისათვის დღეს ორ მომენტს უნდა დავემყაროთ; 1) ფაქტიურ ძალთა განწყობილებას, 2) ფორმალურს. რუსეთში ფაქტიური მდგომარეობა შემდეგში გამოიხატა: ალარ არის ერთი სახელმწიფო; არის მრავალი სახელმწიფო, შედგენილი ეროვნულ ტერიტორიალურ პრინციპის მიხედვით, ფორმალური მხარე ფაქტიურიდან გამომდინარეობს და რუსეთის დამფუძნებელმა კრებამაც დაამტკიცა: დაყოფილ ერთეულები პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ერთეულად გამოაცხადა და სასურველად სცნო მათი შეკავშირება ფედერაციის მიხედვით. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ადგა ამ აზრს და ბაზ ნ რომ გაკეთებულიყო, რაც დღეს თავისთავად და დიდის ტკივილებით კეთდება, შეიძლება რუსეთში ანარქიასაც არ ქონდა ადგილი. ამ აზრს—რუსეთის მრავალ ერთეულად დანაწილებას და დანაწილებულთა შეერთებას—სავსებით უნდა დავიყრდნოთ, როგორც მთავარ, ძირითად დებულებას, ეს უნდა იყოს ლეიტ-მოტივი ჩვენი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა, ამ მოტივის მიღებიდან გამოდის აშკარა ლოგიკური დასკვნა: საქართველო უნდა გამოცხადდეს თვითმართველ საჯარო უფლების ერთეულად. რამდენიც არ უნდა ვიტრიალოთ ამ გზას ვერ ავცდებით და ეს წეს-წყობილება უნდა მივიღოთ, სხვა გზა არ არსებობს და თუ დღემდე სხვა ვერაფერი გაკეთდა იმიტომ, რომ გარდა ფედერალიზმის ბრინციპისა—ხსნა არსად არის.

ეს საკითხი დღემდე გადაწყვეტილი არ არის. თუ კიდევ დაასამარეს ეს საკითხი მენშევიკებმა, ჩვენი ცხოვრება სავსებით ჩაიფლობა ანარქიის ჭაობში და თუ ჭაობმა დროზე არ ჩაყლაპა მენშევიკთა პარტია, საბუდისწყარო მდგომარეობაში ჩავარდება თვით ქართველი ერი.

როგორც ზოგადი პოლიტიკური პრინციპი გონივრულად გადაწყდება საქართველოს ავტონომიის სასარგებლოდ, საქართველოში მთავრობის და კანონმდებლობის საკითხი სწორ ნიადაგზე დადგება. თქვენ წარმოიდგინეთ, თერთმეტი თვეა დემოკრატიის ბატონობა არსებობს და საბოლოოდ, პრაქტიკულს ფარგლებში საქართველოს პარლამენტარიზმის საკითხი არც კი დასმულა, როგორც ორგანიზაციებში, ისე პარტიულ პრესაში. დემოკრატიული პარლამენტარიზმი ყოველთვის საოცნებო საგანი იყო ჭეშმარიტ დემოკრატიისა და ჩვენ მოვალენი ვართ ვსთქვათ, რომ პარლამენტარიზმის საკითხის დადებითად გადაჭრა აუცილებელი პირობაა ქართველობის არსებობისა.

პარლამენტალურ წყობილების არსება შემდეგში მდგომარეობს: 1) ხალხი თავის წარმომადგენლებით ქმნის დემოკრატიისათვის საჭირო კანონებს საკანონმდებლო ფუნქცია), ხოლო იგივე ხალხის წარმომადგენლობა (პარლამენტი) მართველობას აწყობს, მთავრობას, რომელიც სავსებით პასუხის მგებელია ხალხის წარმომადგენლების წინაშე. ამნაირად, პარლამენტარიზმი საქართველოში მოგვიტანს არა მარტო კანონს, არამედ მთავრობასაც, ჩვენც არც ერთი გვაქვს და არც მეორე, საჭირო კი პირველიც არის და მეორეც.

ეწინააღმდეგებიან თუ არა მენშევიკები დემოკრატიულ პარლამენტარიზმს საქართველოში? შეიძლება ამ საკითხზე მენშევიკებმა არ მოგვცენ დადებითი პასუხი, ისინი თეორიაში მუდამ პარლამენტარისტები იყვნენ, მაგრამ რევოლიუციის ხანაში და დღესაც მენშევიკები მართველობის ამ (პარლამენტარიზმს) ერთად ერთ გონივნულ წესს უარყოფენ. ამ ჟამად საქართველოში სამი ფეტოში არსებობს: 1) კომისარიატი, 2) ჯარისკაცთა და მუშათა საბჭო, 3) ეროვნული სმბჭო. ეს ტრიუმვირატი ბაბილონის გოდოლს წარმოადგენს არსებითად, მენშევიკებს ლიდერები სამივე დაწესებულებაში არიან ბატონებად და ყველან ბატონობის სურვილმა ის მოგვიტანა, რომ არა თუ მენშევიკები აღარსად არიან მტკიცედ და საბურველად, საზოგადოდ მთავრობაც ალარ არის და უძლურია საითითაოდ ყველა.

სად არის დღეს მთავრობა?—არსად, კომისარიატიც უძლურია, ჯარისკაცთა საბჭოც და ეროვნული საბჭოც! ტრიუმვირატის პოლიტიკამ გარყვნა პარლამენტარისტული იდეა და ამიტომ პოლიტიკური პროსტრაცია გამეფდა ყველგან და ყველაფერში.

საქართველოს ხსნა მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტარიზმის გამეფებაშია. მაგრამ მენშევიკების პარტიას პარლამენტარული წყობილების შემოღება არ შეუძლია. რისთვის? იმიტომ, რომ პარლამენტმა ქვეყანაში მხოლოდ ერთი სახელმწიფოიცის. იქ ერთი მთავრობა უნდა იყოს. რამდენიმე მთავრობის არსებობა—ანარქია წყაროა და მენშევიკები კი ანარქ ის ამ წყაროს და მრავალ მთავრობის პრინციპს ერთსა და იმავე ადგილზე—ფაქტიურად იცავენ.

პარლამენტარიზმისათვის აუცილებელია ალმასრულებელი ძალა—მთავრობა, სამინისტრო—კომისარიატი და ამ მთავრობის ბატონ-მესვეური თვით პარლამენტი იქნება. ასეთი მდგომარეობის შექმნა, ესე იგი ერთი მთავრობის არსებობა და სხვა რამდენიმე მთავრობის უარყოფა—საქართველოს კეთილდღეობის აუცილებელი პირობაა. ჩვენ ვიღუპებით ამ ჟამად იმიტომ კი არა მარტო, რომ არ გვაქვს პარლამენტი და ვერ ვსწყვეტთ ვერც ერთ საკანონმდებლო საკითხს, არამედ უფრო იმიტომ, რომ მთავრობის როლს ბევრი კისრულობს და თვითონ მთავრობა კი არსად არის.

ჩვენ ერთი მთავრობა უნდა შევქმნათ, რომელიც წარმოიშობა პარლამენტის წიაღში. ესე იგი პარლამენტარიზმი ხალხის პასუხისმგებლობაა კანონის გამოცემაში და მართველობაში, ესე იგი პარლამენტს არ ეშინია არავითარ პასუხისმგებლობის და ის თვითონ უძღვება ხალხის საქმეებს.

განა ამის მსგავსი რამე ხდება ჩვენში? პირდაპირ განსაცვიფრებელია, რომ მენშევიკები აარსებენ დაწესებულებებს, სადაც თვითვე სხედან, ამავე დროს ქმნიან სხვა ორგანიზაციებს, სადაც ადგილს ისინივე იპერენ და პეტრე ერთ ადგილას მართველიც არის და მეორე ადგილას ნიღაბფარებული იგივე პეტრე მეთვალყურეც! ასეთ პოლიტიკურ ფასსიფიკაციასთან პარლამენტარიზმს არავითარი კავშირი არ აქვს და ჩვენ, როგორც ეშმარიტი პარლამენტარისტები, ვაცხადებთ, რომ ვიდრე ამ მოლიპულ გზას არ ავცდებით, მანამდისინ არა თუ წგ[illegible]ერება არ გვეღირსება ქვეყანაში, რევოლიუცია ცარიელი სიტყვა დარჩება მხოლოდ და ხალხი ვერაფითარ შელავთს ვერ ეღირსება.

საქართველოს მომავალი პარლამენტარიზმის განხორციელებაშია ჩამაბარული. საჭიროა შეიქმნეს საქართველოს საკანონმდებლო ორგანო, რომელიც შექმნის საქართველოს მთავრობას. ეს ითავრობა უნდა იყოს ერთად ერთი მთავრობა, რომელიც პასუხს მისცემს მხოლოდ პარლამენტს, ალავითარი სხვა საბჭო, არავითარი სხვა პარტია ვერ გამოვა მთავრობის როლის განმწესებელის როლში. ბრძოლა შეიძლება ხალხში, ამისათვის არჩევნები არსებობენ. ბრძოლა პარლამენტის შემადგენლობისათვის, მაგრამ რაკი პარლამენტი არჩეულია, სახელმწიფოს მესვეური ეს პარლამენტი უნდა იყოს მხოლოდ და არა სხვა რომელიმე პარტია, ან საბჭო, რა გავლენაც არ უნდა ჰქონდეს ხალხში ამა თუ იმ პარტიას. გავლენა თუ აქვს პარტიას, ის სავსებით გამოჩნდება პარლამენტში.

ვ დრე ასეთ კალაბოტში არ ჩადგება მთელი ჩვენი ქვეყანა, ვიდრე პარლამენტს არ დაემორჩილება საქართველოს ყველა პარტია და არ უარყოფს მრავალ მთავრობის პოლიტიკას, მანამდის ხსნასა და რევოლიუციის გამარჯვებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

თედო ღლონტი.

სქართ. ეროვნ. სბჭო

გიმნაზიის გახსნა. ილია ალბაზიშვილი ქ. ახალქალაქიდან დეპეშით იუწყება, რომ ადგილობრივ ქართველ გლეხების, განურჩევლად სარწმუნოებისა, ხარჯით გაიხსნა დემოკრატიული გიმნაზია ჯავახელებისთვის. გახსნის პირველ დღესვე შესულა 105 ბავშვი, ხოლო ახლო ხანში მოსალოდნელია ეს რიცხვი სამასამდე გაიზარდოს, ილია ალხაზიშვილი ამასთანავე ითხოვს ეროვნულ საბჭოსგან ქონებრივ დახმარებას.

სამაზრო კომისრებს ეროვნულ საბჭოს ალმასრულებელი კომიტეტი ავალებს სწრაფი და რადიკალური ზომები მიიღოს, რომ სხვა და სხვა ბოროტმოქმედებანი, დღეს რომ ხშირად ჰხდება სოფლად და ქალაქად, მოისპოს და შეუძლებელი გაჰხადოს რაიმე პროვოკაცია ანდა მცხოვრებთა ერთი ნაწილის მეორეზე ამხედრება.

ეროვნული საბჭო დაკოოპერატივები. ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ დღემდე გადაუდვია კოოპერატივებს: გომის კავშირს—რვა ათასი მ., ტფილისის „მეურნეს"—3 ათასი, ახალქალაქისას (სიმისათვის)—400 მ., მარტყოფის საკრედ. ამხ.—200 მ., მარტყოფის მომხმ. ამხ.—100 მ., მეტეხის საკრედ. საზ.—262 მ., ნორიოს საკრედ.—100 მან., კასპისას—30 მან.

მეორე რევოლიუცია

საზ. მოღვაწეების დატუსაღება. პეტროგრადში ბოლშევიკები განაგრძობენ გამოჩენილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეების დატუსაღებას, მათ მალე ათავისუფლებენ, თუ ისინი თანხმდებიან გამოსასყიდ ფულის—ჯილდოს მიცემაზე.

ტერორისტების გაგზავნა. სმოლნის ინსტიტუტში ტერორისტთა ჯგუფებს ადგენენ და აგზავნიან კალედინის, კორნილოვის, მილიუკოვის, გუჩკოვის, როძიანკოსი და პეტლიურას მოსაკლავად.

დამფუძნებელი კრების გარშემო

ჩრდილოეთის ფრონტის ზოგიერთ პოლკს რეზოლიუცია გამოუგზავნია, რომელშიც ისინი დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას მოითხოვენ.

ჩრდილოეთის ფრონტის სამხედრო მართველობა.

ჩრდილოეთის ფრონტის სამხედრო მართველობის (მთავარ-სარდლობის) მაგიერ პსკოვში დაარსდა ტრიუმვირატი, რომელსაც სათავეში ცნობილი ბოლშევიკი პოზერნი უდგას.

უკრაინაში.

სრულიად უკრაინის მუშათა, ჯ.-კ. და გლეხთა დეპ. ყრილობამ კიევში სრული ნდობა გამოუცხადა ცენტრალურ რადას და გენერალურ სეკრეტარიატს და სცნო ის ერთად-ერთ სრულ უფლებიან ორგანოდ უკრაინაში. ნდობის რეზოლიუცია მიღებულ იქმნა ხმის დიდი უმეტესობით რამდენიმე ბოლშევიკის წინააღმდეგ, რომელთაც დემონსტრატიულად დატოვეს ყრილობა.

ჩრდილო კავკასიაში.

სტავროპოლში მყოფთ მე 18 ქვეითთა პოლკი აღშფოთებული ძალლონით, რომელსაც ბოლშევიკები ოფიცრებზე ხმაურობენ, გამოვიდა მთელის თავისი შემადგენლობით ქალაქიდან, გავიდა „კავკაზსკაიას" სადგურზე და იქ შეუერთდა ყაზახებს, ქალაქი ბოლშევიკების ხელშია, ბოლშევიკები დღითიდღე მოელიან დამხმარე რაზმებს კავკასიის ფრონტიდან. ამ ჟამად კი ბოლშევიკებს მხოლოდ წითელ-რაზმელების იმედი აქვსთ, თუ ყაზახებთან შეტაკება მოუხდათ. ადგილობრივ მეცხოვნეთა ჯარიდან მათ მცირე ნაწ ლი თანაუგრძნობს.

პიატიგორსკში ბოლშევიკები ძლიერ აგიტაციას ეწევიან საქალაქო საბჭოს გარეკის შესახებ, ქალაქის თავმა ურლოვმა და გამგეობის წევრმა უკვე დაანებეს თავი სამსახურს.

დონის ოლქში

დონის ოლქის საზღვრებზე გენ. ბალაბინმა ბოლშევიკები დაამარცხა, ბოლშევიკები, შეშინებულნი ამით, ჩრდილოეთის მიმართულებით იწვევენ თავის სამხედრო ნაწილებს.

— როსტოვში ცნობები მოვიდა, რომ „სარნი"-ს სადგურზე ბრაპორჩიკ კრილენკო დაატუსაღეს მისი შტაბით.

ზავის გარშემო

ბრესტ ლიტოვსკის მოლაპარაკება.

ბრესტ-ლიტოვსკში, უკანასკნელ სხდომაზე განიხილეს საკითხი უკრაინის მონაწილეობის შესახებ საზავო მოლაპარაკებაში. მთელი სხდომა ამ საკითხს მოანდომეს. გერმანიის კანცლერი კიულმანი მოითხოვდა, რომ უკრაინის დელეგაციას მონაწილეობა მიეღო კონგრესის მუშაობაში. ტროცკი წინააღმდეგი იყო, თუმცა არც ის ხედავდა რაიმე დაბრკოლებას, რომ უკრაინის დელეგაციასაც მიეღო მონაწილეობა. ამის გარშემო დიდი კამათი იყო, რომელიც მთელი სხდომის მნიშვნელობაში სწარმოებდა. დასასრულ მიიღეს დადგენილება, რომლის ძალითაც უკრაინის დელეგაციას ამის უფლება ეძლევა პარიტეტულ საფუძველზე.

კიულმანის და ჩერნინის წასვლა

კიულმანი და ჩერნინი მოულოდნელად წავიდნენ ბრესტ-ლიტოვსკიდან ბერლინში მათი წამოსვლა იმის მომასწავებელია რომ მოლაპარაკება დროებით შეჩერდება. შესაძლებელია ეს იმის მომასწავებელიც იყოს, რომ ულტიმატუმის წარდგენას აპირებენ, რომლითაც გერმანული პირობების მიღებას მოითხოვენ.

გაფიცვები გერმანიაში

როგორც ჩანს გაფიცვებს თან და თან ძალა აკლდება, რადგან მის მოსასპობად მთავრობა მკაცრ ზომებს იღებს.

ოგი

ბრიტანიის ბანაკის ცნობა.

ბრიტანიის ფრონტზე ჰაეროპლანებიდან ყუმბარებს ისვრიან. ჩამოვიდეს გერმანელთა 11 ჰაეროპლანი. ინგლისელებმა 3 ჰაეროპლანი დაჰკარეს.

იტალიის ბანაკის ცნობა.

მტრის მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს კერძო ჰოსპიტალს ტრევიზოში.

რუმინიაში.

რუმინიის ოფიციალურ დეპეშებში იუწყებიან: რუსის ჯარი სტოვებს მოლდავიის ფრონტს და რუსეთში მიდის. გზაში ისინი რუმინიის ქალაქებს არბევენ. რუმინიის ჯარი მათ იარაღს ყრის.

ბესარაბიის მთავრობის თხოვნით, რუმინიის ჯარმა ბესარაბიის სასურსათო ცენტრები დაიკავა და კიშინიოვიასის რკინის გზა.

ახალი ამბავი

ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში მოთავსებული იქნება საგანგებო წერილები რევოლიუციის და სამშობლოს განსაცდელის შესახებ: გ. ლასხიშვილის, გრ. რცხილაძის, დ. უზნაძის, ა. მდივნის, ს. ფირცხალავას, ა. ჯაჯანაშვილის, აკ. პაპავასი, ქ. რაჭველიშვილის, მ. საყვარელიძის, და სხ.

მატარებელზე თავდასხმა. განჯიდან დეპეშით ატყობ ნებს ინჟინერი კოზეკო ამიერკავკასიის კომისარიატ: დღეს, 27 იანვარს, მეოთხე ნომერ მატარებელს თავს დაესხენ და აუტეხეს სროლა. მატარებელმა მაინც შეუჩერებლივ განაგრძო ბაქოსკენ სვლა. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი მატარებელში გამოურკვეველია. ადგილობრივ მოსამსახურეთა დაკავება სადგურში შეუძლებელი ხდება. რადგან შესაძლებელია სადგური სრულიად უპატრონოდ დარჩეს, გამოწვეულია საზოგადოებრივ თავდაცვის კომიტეტი სადგურის დასაცავად.

შეტაკება თათრებსა და მალაკნებს შორის. ამიერკავკასიის კომისარიატს ახალბაიაზეთიდან დეპეშით ატყობინებენ: სოფ ლ აბულოლის თათრები (ახალბაიაზეთის ოლქი) თავს დაესხენ მალაკნებს სოფ. ნადიჟდინაში. ორი დღეა სანგრებში ვზიხართ და განუწყვეტლივ ვომობთ. მოკლულია 1 მალაკანი, 3 უგზოუკვლოდ დაიკარგა. გთხოვთ სწრაფ დახმარებას.

ბილეთების გაყიდვის აკრძალვა. ამიერკავკასიის რკინის გზის გამგეობა ატყობინებს ამიერკავკასიის კომისარიატს: აკრძალულია ბილეთების გაყიდვა ბაქოსაკენ ტფილისიდან. ეს დადგენილება ძალაშია, სანამ გამოცემული არ იქნება ახალი განცხადება და აღდგენილ არ იქნება მოძრაობა აღმოსავლეთ ნაწ ლში. ბგრეთვე გატყობინებთ, რომ დღეს გავიდა ერთი მატარებელი № 3—4 ტფილისიდან სარაყამიშისაკენ.

მასწავლებლების გაფიცვა. ქუთაისის გუბ. მასწ ვლებელთა საბჭო აცნობებს სახალხო განათლების კომისარიატს, რომ მასწ ვლებლებმა გადაწყვეტეს გაიფიცნენ და თავის გადაწყვეტილება სისრულეში მოჰყავთო.

სახაზინო ინვენტარის დატაცება. გაზ. „ჰორიზონს" ალაშქერთის რაიონის გამგი მოსოიანი ატყობინებს, რომ მატარებლების უწესრიგო მიმოსვლის გამო საერობო კავშირის ქონება-ინვენტარი თავის დროზე ვერ იქნა გაგზავნილი კუთვნილებისამებრ, ამით ზოგიერთებმა ისარგებლეს და ჩალის ფასად მიჰყიდეს ყველაფერი.

ამიერკავკასიის სეიმის შემადგენლობა. როგორც საბოლოოდ გამოირკვა, ამიერკავკასიის სეიმში ეყოლებათ: სოციალ-დემოკრატ მენშევიკებს 33 დეპუტატი, დაშნაკცუტუნ—27 დეპუტატი, მაჰმადიანურ პარტიებს („მუსავატს", მაჰმად. სოციალ. ბლოკსა, და მაჰმად. სოც.-დემოკრ. ორგანიზაციას მაჰმ.)—42 დეპუტატი, კადეტებსა და სომხურ სახალხო პარტიას—2, ბოლშევიკებს—7, სოციალისტ-რევოლიუციონერებს—20 დეპუტატი (აქედან 15 ფრონტიდან არის არჩეული), ნაციონალ-დემოკრატებს—1, სოციალისტ ფედერალისტებს—1. სულ ამიერკავკასიის სეიმში იქნება 133 დეპუტატი.

მასწავლებელთა კრება. კვირას, 28 იანვარს ქართულ გიმნაზიის შენობაში მოჰხდა ტფ. კრება პირველ-დაწყებით, დაბალ და საშუალო სასწავლებელთა ქართველ მასწავლებლებისა გორგაძის თავმჯდომარეობით. მომხსენებელ ვარ. ბურჯანაძის აზრით (მისი მოხსენების დებულებანი უკვე აღნუსხული იყო ჩვენს გაზეთში) საჭირო იყო ეხლავე შეედგინათ მასწავლებლებს თავის სპეციალობისდა მიხედვით საგნობრივი კომისიები და შეედგომოდნენ სახელმძღვანელოების შედგენას. აზრთა მცირე გაცვლა-გამოცვლის მერე იქ მყოფი მასწავლებლები ჩაეწერნენ კომისიებში და იქვე მოილაპარაკეს საორგანიზაციო საკითხების შესახებ, ამ დღეს ჩაწერილნი პირნი მიიღებენ თავიანთ თავზე ინიციატივას და შეეცდებიან კომისიათა მუშაობის გაცხოველებას.

კიტა აბაშიძის პანაშვიდი. კვირას, 28 იანვარს, დიდუბეში კიტა! საფლავზე გადახდილი იქმნა პანაშვიდი (გარდაცვალებიდან მე-40 დღეზე) გარდა პირისუფლებისა პანაშვიდს და ესწრნენ განსვენებულის ამხანაგ-მეგობრები და სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები.

დაკარგული ბილეთი. ამ ერთი თვის წინად სალამოს 6 საათზე დალაქის დუქნიდან (მალაკნის ქ.) სადაც მუშაობენ ... 5 მეტრევეი 27 წლისა ... ...

ხელის მომწერთა საყურადღებოდ: „ჟურნალის რედაქციას მოუვიდა მრავალი წერილი (ფულისა) რადგანაც ფოსტის გზნყოფილებიდან ფულს არ აძლევენ 1 თებერვლამდის, ამიტომ რედაქციახ საშვალება არა აქვს ამ კათეგორიის ხელის მომწერთ ჟურნალი მიაწოდოს როგორც კი ფულსა და ხელის მომწერთა მისამართებს მივიღებთ, ჟურნალი ფოსტით გაეგზავნება ხელის მომწერთ“.

→ დეპეშა თელავიდან. თელავის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ატყობინებს ამიერკავკასიის კომისარიატს და ეროვნულ საბჭოს: ჩამოსული დათხოვნილი ჯარის კაცები, რომლებიც თოფებით ჩამოდიან, დიდ უწესობას სჩადიან ანარქია ძლიერდება ადგილობრივ ძალებით შეუძლებელია მათი დაწყნარება გთხოვთ დათხოვნილი ჯარის კაცები შემდეგში მაინც გამოუშვათ უიარაღოთ.

→ თავის მოკვლა. 25 იანვარს საღამოს 9 საათზე თავი ჩამოიხრჩო თავის ბინაზე პელაგია რატიჩინკომ, დასტოვა ბარათი შემდეგი შინაარსის: „ბევრი ვეწვალე შენ ვერ გაიგებ ჩემს გულს“. გთხოვთ ნერვის ნუ დაიბრალებთ.

→ ინციდენტი. მენშევიკების საოლქო კომიტეტმა განიხილა ინციდენტი ვ. ჯუღელისა და ნ. რამიშვილის შორის, რომელსაც ადგილი ჰქონდა საოლქო ცენტრის სხდომაზე, სადაც ვ. ჯუღელმა შეურაცხყოფა მიაყენა ნ. რამიშვილს და დაადგინა: ყოველად შეუწყნარებელია ჯუღელის მოქმედება და უცხადებს სრულს ნდობას ნოე რამიშვილს, ჯუღელს კი მიეცეს მკაცრი შენიშვნა.

→ 2 კოოპერატივების კრება. 2 თებერვალს ამა წლისას დანიშნულია კოოპერატიული და წვრილი კრედიტის დაწესებულებათა გამგეობის კრებები და ამ კრებაზე დასასწრებლად წარმომადგენლობა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მინდობილი აქვთ შემდეგი პირთ: დუშეთში შალვა გოგებაშვილს, თელავში არჩილ ჯაჯანაშვილს, სიღნაღში—გრიგოლ ნიკარაძეს და გოროში სვიმონ ჩიკვარიანს.

→ შაქარზე აქციზის მოხმობა. ქალაქთა კავშირის საოლქო კომიტეტს აზრად აქვს მთავრობასთან შუამდგომლობა აღძრას, რომ შაქარზე აქციზი მოისპოს, რადგან იგი პირველ საჭიროების საგანია. აწეული აქციზი მთელი თავის სიმძიმით აწვება უმთავრესად მოსახლეობის ღარიბ ნაწილს, ამის გამო კომიტეტის თავმჯდომარე —ქალაქის მოურავი ნ. ელიავა დეპეშით შეეკითხა ამიერკავკასიის ყველა საქალაქო თვითმართველობათ თუ როგორია ამ საგანზე მათი შეხედულება. ამის მსგავსი შუამდგომლობა უკვე აღძრეს ბათომის და ქუთაისის ქალაქის თვითმართველობებმა. ქალაქთა კავშირის აღმასრულებელმა ბიურომ ერთხმად დაადგინა მხარი მისცეს ამ შუამდგომლობას.

→ დეპეშები ეროვნულ საბჭოს სახელზე. ქუთაისის ისტორ. და ეტნოგრაფიის საზოგად. მიესალმება საქარ. თველოს დედაქალაქში პირველ ქართ. უნივერსიტეტის გახსნას, რომელიც მაღლა აიფრიალებს სამშობლოს სასახელოდ განათლების დროშას.

თავმჯ. ტე. ჯაფარიძე.

ქუთაისი.

— დღეგრძელობა, აყვავება და გაბრწყინება პირველ მნათობელს ქართველთა გონებისას. ვუსურვებთ მას შემოეკრიბნოს და გაეერთიანებინოს მთელი ქართველი ერი თავის ბრწყინვალე სხივების ქვეშ.

ქუთაისი. **ნიკო რაზმაძე,**

—

სოხუმელი ქართველები აღსავსენი სიხარულით მიესალმებიან ქართული უნივერსიტეტის გახსნას, ქართული გამგებლობის დაწყებას უმაღლეს კულტურული დაწესებულების დაარსებით, რადგან ქართველ ხალხს ყველაზე მაღლა სწავლა-განათლება მიაჩნია, მოვალედ ვრაცხთ ჩვენ თავს შეძლების დაგვარად დავეხმარნეთ განათლების კერას, რათა მისცეს საშშობლოს მომზადებული ძალადღე მოღვაწენი.

ნიკო თავდგირიძე.

→ წინადადების უარყოფა. კავკ. ქალ. კავშირმა არ შეიწყნარა რუსთა ეროვნულ საბჭოს ფინანსიურ კომისიის წინადადება, რომ კავშირს ჰყოლოდა თავის წარმომადგენელი აღნიშნულ კომისიაში,

→ მეეზოვეთა კავშირმა დაადგინა თვითეულ მეეზოვეს თვიურ ჯამაგიდად ჰქონდეს არა ნაკლებ 150 მანეთისა. გარდა ამისა კავშირში წევრად ჩაწერილი მეეზოვე რიგ გარეშე მიიღებს პურს და სხვა სანოვაგეს საკუთარ კოოპერატივიდან.

→ რკინის გზის მუშათა დათხოვნის შესახებ ამიერკავკასიის კომისარიატმა შტატის შემცირების გამო დაადგინა: სამხედრო ბეგრის მომხდელი მუშები დაკმაყოფილებულ იქმნენ უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბის უფროსის განკარგულების მიხედვით, რომელიც გამოეცა 1916 წლის 14 მაისს, ხოლო მოხალისე მუშებს ანგარიში გაუსწორდეთ იმ წესების და მიხედვით, რომელთაც შეიმუშავებს ამისათვის დაარსებული სალიკვიდაციო კომისია.

პარტიის ლევრეგს მთავარ კომიტეტისაგან

სამშობლო და მშობელი ხალხი განსაცდელშია. საჭიროა დაუყოვნებლივ დარაზმვა და შეიარაღება. საქართველოს ეროვნულ საბჭოს დადგენილებით უკვე სდგება სახალხო მილიცია. მაგრამ ეს საკმარისი არაა, მით უმეტეს რომ მილიციის მოწყობას რამდენიმე თვე მოუნდება. ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოეწყოს ქართული ჯარის პოლკები და მოუწოდებთ ამხანაგებს ეხლავე შევიდნენ მოხალისეებად ამ პოლკებში. განსაკუთრებით ეს ევალებათ ინტელიგენტურ წევრებს, რომელთაც ნათლად შეგნებული უნდა ჰქონდეთ მთელი სიმძიმე დღევანდელი მდგომარეობისა.

სათანადო პროპაგანდა-აგიტაციის გასაწევად საჭიროა ფული. მთავარი კომიტეტი მოუწოდებს ამხანაგებს ერთი დღის თავისი შემოსავალი ოთხშაბათს 31 ამ თვეს შემოიტანონ პარტიის კასაში თავდაცვის ფონდისათვის. პროვინციელმა წევრებმა ეს ერთდროული გადასახადი უნდა შეიტანონ ადგილობრივ კომიტეტებში, ხოლო უკანასკნელებმა დაუყოვნებლივ გამოგზავნონ ტფილისში, „სახალხო საქმის“ რედაქციაში შემდეგის წარწერით „მთავარ კომიტეტს თავდაცვისათვის“.

ტფილისელმა ამხანაგებმა ფული უნდა შემოიტანონ ან პარტიის კლუბში ან „სხ. საქ.“ რედაქციაში.

არეულობა ამიერკავკასიაში

კახეთის რკინის გზაზე.

26 იანვარს კახეთის რკ. გზით წასულან პოზიციებიდან დაბრუნებული სამასამდე ქართველი ჯარის კაცი—რასაკვირველია იარაღით. სად. ბადიაურზე სრულიად უმიზეზოდ მათ მიუყრიათ 2 თათარი, ხოლო მესამე დაუჭრიათ. ამას ძლიერ აუღელვებია მახლობელი სოფლის მეზობლო იორის თათრობა და მეორე დღეს შეიარაღებულნი სადგურზე გამოსულან მატარებლის დასახვედრად. საბედნიეროდ უსიამოვნება არაფერი მომხდარა და მატარებლებმაც მშვიდობით გაიარეს.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

დღეს, ხალამოს 5 საათზე პარტიულ კლუბში დანიშნულია სოციალისტ-ფედერალისტ ქალთა ორგანიზაციის კრება.

ამხანაგებს ვთხოვთ უეჭველად დესწრონ კრებას და ნერც დაიგვიანებენ.

—

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის სტუდენტთა სამხედრო ორგანიზაცია—ატყობინებს პროვინციაში მცხოვრებ ამხ. სტუდენტებს რათა დაუყოვნებლივ მოახდინოს ლიკვიდაცია ყოველივე კერძო საქმეებისა და სარჩ-ქაროთ ჩამოვიდნენ ტფილისში სრულ განკარგულებაში.

ამიერკავკ. სიის ცნ-ტრის კრება.

სხდომა გაიმართა 26 იანვარს, საღ. 8 ს. სასახლის თეთრ დარბაზში.

დღის წესრიგში ისმის შემდეგი საკითხები:

1) სამხედრო-ტეხნიკური ორგანიზაცია.

2) ინტერნაციონალური სამხედრო საბჭო,

3) ეროვნული საბჭოები.

4) შამქორის ტრაგედია.

პირველ საკითხზე მოხსენებას კითხულობს კომისიის წევრი და მოითხოვს ამ ორგანოს ავტონომიურ არსებობას. კამათში არავინ იღებს მონაწილეობას და მომხსენებელს შემოაქვს დაზზადებული რეზოლიუცია შემუშავებული საოლქო საარმიო ცენტრისაგან.

აკ. პაპავას შეაქვს წინადადება, მოხსენების გაურკვევლობის გამო კამათი ვერ იმართება და რეზოლიუციის მიღება ასე შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა აირჩეს განსაკუთრებული კომისია ამ საკითხის შესასწავლად.

მომხსენებელი წინააღმდეგია, რადგან საქმე ბრკოლდება და დაყოვნება არ შეიძლება, ამიტომ ცენტრმა დღესვე მიიღოს ეს რეზოლიუცია.

კენჭის ყრით გადის წინადადება ამხ. ა. პაპავასი და კრება ირჩევს სპეციალურ კომისიას.

ინტერნაც. სამხედრო სამმეჯოზე მოხსენებას კითხულობს განსაკ. კომისიის წარმომადგენელი. იგი აღწერს ისტორიას ამ საბჭოს დაარსებისას და გამოსთქვამს სურვილს—მომავალშიაც დარჩეს ასეთის ვიწრო ფუნქციებით, როგორც დღემდეა. მისი მოვალეობა იხატება ჯარის ნაციონალიზაციის ტეხნიკურ აპარატის მოწყობაში, მან პრაქტიკულად უნდა გაატაროს ეს საკითხი ადგილობრივ ცენტრის და კომისარიატის ხელმძღვანელობით; ამ უკანასკნელთა წინაშე იგი არის პასუხისმგებელიც. მეორე მისი ვალია შეათანხმოს და დააკავშიროს ეროვნული ჯარები, რათა ეს ძალები ცალ-ცალკე არ დაიქსაქსონ. გარდა ამისა, ეს საბჭო მუშაობს სამხედრო-საზღვაო კომისართან და მისი დირექტივებით უნდა იხელმძღვანელოს. ასეთი სათათბირო ხასიათის უნდა იყოს ეს წმინდა ტეხნიკური ორგანიზაცია.

ივანოვი ხ. რ. წინააღმდეგია ინტერნაციონალურ სამხედრო საბჭოს არსებობისა, რადგან მას შეუძლია დამოუკიდებელი მოქმედება გახადოთაროს და დაატრიალოს ისეთი ტრაგედია, რომელსაც ადგილი ჰქონდა შამქორში. ჩვენ ვენდობით მარტო დემოკრატიულ ცენტს ამ.-კავკასიისას, რომლის ხელში უნდა იყოს მთელი ძალა-უფლება. ამიტომ საჭიროა ეროვნული ჯარები ხელიდან გამოვაცალოთ ამ საბჭოს და სრულიად დაუქვემდებაროთ ამ-კავკასიის ცენტრს. ჩვენ იქვის თვალით ვუცქერით სამხედრო საბჭოს შემადგენლობასაც.

ნ. რამიშვილი ხ.-დ. მე საჭიროდ მიმაჩნია, როგორც თავმჯდომარეს ინტერნაც. სამხედრო საბჭოსას, ყალბი შეხედულება, რომლის გავრცელებას ხელს უწყობენ ჯუღელის მეთაურობით ზოგი ამხანაგები ამ ინტერნაციონალ. სამხედრო საბჭოს შესახებ, გავფანტო. პირველი—მე კათეგორიულად ვაცხადებ, რომ შამქორის ტრაგედიაში, ჩვენს საბჭოს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია; ამ საკითხის გამოარკვევად არჩეულია სპეციალური საგამომძიებლო კომისია, რომელიც დოკუმენტალურად დაამტკიცებს ჩვენს სიმართლეს. მეორე—შემადგენლობა ჩვენის საბჭოში სოციალისტურია და ჩვენც სრულის ნდობით უნდა მოვეკიდოთ მას.

არსებითად კი უნდა ითქვას, რომ ეს საბჭო აღჭურვილია ეროვნულ საბჭოთა ნდობით, მას აქვს მარტო სატეხნიკო ფუნქციები და მუშაობს კომისართან, მაშასადამე, იგი ფაქტიურად პასუხისმგებელია ცენტრის წინაშე. მას პოლიტიკური როლი არ უთამაშნია და ვერც ითამაშებდა, როგორც სატეხნიკო ხასიათის ორგანიზაცია. იგი ერთგვარ კოსტაქტს ამყარებს ეროვნულ სამხედრო ძალთა შორის. ამიტომ ზედმეტ გატაცებას თავი უნდა გავანებოთ და საკითხს პრაქტიკულად შევეხოთ. ვიმეორებ, არც ერთი ბრალდება ამ საბჭოს წინააღმდეგ არ იტანს კრიტიკას და მეტ შემთხვევაში ინსინუაციების ნაყოფია.

ვ. ჯუღელი (ს.-დ.). ჩვენი პარტია, როგორც ჭეშმარიტად ინტერნაციონალური, თავიდან ებრძოდა ყოველგვარ ნაციონალისტურ-ეროვნულ გამოსვლებს და ორგანიზაციებს. სამწუხაროდ, ამხანაგები დღეს ასცდენ ამ გზას და ეროვნულ საბჭოებშიც კი ილებენ მონაწილეობას. რევოლიუციის პირველ დღეებიდან ჩვენ ვებრძოდით ყოველგვარ ნაციონალურ გამოსვლას და სრულიად რუსეთის დემოკრატიის მესუსტებას. ჩვენ წინააღმდეგნი ვიყავით არა თუ სომხურ და თათრულ ეროვნულ საბჭოებისა, არამედ ქართულისაც, საცა ჩვენი ამხანაგები მრავლად არიან, სამწუხაროდ. ჩვენ არაფერი გვჯერა ამ საბჭოების სოციალისტობისა და დემოკრატობის. აი, ამ საბჭოებმა გაარღვიეს რევოლიუციის ფრონტი, შემოიკრიბეს ნაციონალისტური ძალები, შეჭნეს ჯარი და დღეს საშინელ საფრთხის წინაშე დგვაყენეს. მომავალში შეუძლებელია ყველა ამას ადგილი ჰქონდეს. ინტერნაციონალური სამხედრო საბჭო არ შეიძლება პოლიტიკის გარეშე იდგეს; ჩვენ მარქსისტები ვართ და ვიცით, რომ ტეხნიკის და სტრატეგიის საკითხი არ შეიძლება პოლიტიკის გარეშე იყოს. ეროვნულმა ჯარებმა სულ გაართულეს საქმე, მათ დაიტაცეს საერთო სახელმწიფოებრივი ქონება და იარაღი და გაანიავეს და ჩვენ არ შეგვძლია ნდობით შევხედოთ არც ეროვნულ საბჭოებს და არც ინტერნაციონალურ სამხედრო საბჭოს.

აკაკი პაპავა (ს.-ფ.). ამხ. ივანოვის სიტყვებში ლოგიკა არ სჩანდა, რადგან იგი მოითხოვდა ინტერნაც. სამხედრო ორგანოს გაუქმებას და არაფერს ამბობდა ეროვნულ საბჭოებზე და ეროვნულ ჯარებზე. თუ უკანასკნელნი უნდა დარჩენ, ცხადია, უნდა იყოს მათი შემომკრები ძალაც, მათი შემათანხმებელი უმაღლესი ორგანო და ასეთია მარტო ინტერნაც. სამხედრო საბჭო. ამხ. ჯუღელის სიტყვაში კი ეს ლოგიკა დაცულია, იგი მოითხოვს არა მარტო ამ სინტეზის გაუქმებას, არამედ ეროვნულ საბჭოების გარეკასაც, როგორც მის საფუძველსას. მაგრამ ამ ფორმალურ ლოგიკაში დაცული არ არის აზრი და რეალურ ძალთა, ობიექტიურ განწყობის გათვალისწინება. დღეს უკვე გამოირკვა, რომ რუსეთში საშიელი ანარქიის, სამოქალაქო ომის დროს უნდა ვეცადოთ გადავარჩინოთ ადგილობრივი ცენტრები, ეროვნული ერთეულები, რომ შემდეგ ისინი ფედერატიულად შევაკავშიროთ და რევოლიუციის დაპყრობანი გადავარჩინოთ. ნუთუ ჯუღელს შეუძლია აუკრძალოს ერებს, რომ მათ თავიანთი ფიზიკური არსებობა დაიცან? დღეს ამიერკავკასიის ერები პირდაპირ დავდექით ამ საშინელ საკითხის წინ. რუსეთის „ინტერნაციონალური“ ჯარი სრულიად უმწეო მდგომარეობაში გვტოვებს, სახლში გარბის, ფრონტს ცლის, გზადა გზა წალეკას გვიქადის და ჩვენს თავდაცვაზე არ უნდა ამოვიღოთ ხმა? ჯუღელი ამბობს—ეროვნულმა ჯარებმა სიმდიდრე და იარაღი დაიტაცესო, მაგრამ იცის თუ არა ფრონტიდან შემბარავი ამბები, რომ იქ ჯარი თოფებს და ხშირად ზარბაზნებსაც მტრებზე: ქურთებზე და თურქებზე ჰყიდის ოხრის ფასად და ჩვენ ერთ თოფსაც არ გვიტოვებს, როცა არ ვიცით—როდის წამოვლენ ჩვენზე თურქები. სად არის აქ სინამდვილის ანგარიშის გაწევა, მისი შეგნება?

(დასასრული შემდეგ)

ძვირფას და დაუვიწყარ მეგობრის პატივს ხ ოანას

„დაიფარა მიწასა შინა გვამი, წმიდა მოღვაწებისა შრომითა განლეული“...

ორმოცი დღეა მას აქეთ, რაც განშორდა ამ წუთისოფელს სახელოვანი მოღვაწე, თავდადებული მშრომელი, საქართველოს უფლებებისათვის მებრძოლი და ძვირფასი, შეუდარებელი მეგობარი, ჩვენი კიტა. და მართლაც განა წუთისოფელი არ ეთქმის ისეთ ხანმოკლე ცხოვრებას, რომლითაც შეიზღუდა კიტას ამქვეყნიური არსებობა?! ამაშიაც, როგორც სხვა რამეში, ქართველებს მართლაც რომ ბედი არა გვწყალობს. საზღვარ გარედ, სადაც ყოველივე ხელს უწყობს ადამიანის თავისუფალ და სრულ განვითარებას, ორმოც წლამდე მარტო სწავლა და გამოცდილების შეძენას უნდებიან. ეხლოდ ამ ჭაბუკურ ხანის დასრულების შემდეგ იწყებენ დარბაისლურ ცხოვრებას და დინჯ მუშაობას. იქ 40 წლის შესრულების შემდეგ იწყებს გონება უფრო ნაყოფიერ მუშაობას და ესეთი ხანა თვითეული ადამიანისათვის გრძელდება 60—70 წლამდე მაინც. მოღვაწლობა და დაუძლურება ეხლოდ ამ ასაკის შემდეგ იწყება, ისიც არა ყოველთვის. ამნაირად 30 წლის განმავლობაში გაწეული სწავლითა და შრომით ამდენივე ბორჯ, თუ მეტი არა, ეძლევა თვითეულს ამ სწავლისა და გამოცდილების გამოსაყენებლად.

რას ვხედავთ ჩვენში?—სულ სხვას. გამობრძმედდება თუ არა ადამიანი საზოგადო მუშაობისათვის, მას უკვე მოხუცებულობის მოახლოება აფიქრებს და აკრავს ენაზედ. და გუშინდელი ჭაბუკი, ახალგაზრდა ადამიანი უკვე მოხუცებულად ითვლის თავს. ამის მაგალითი ბევრია და თვით კიტაც ხშირად იტყოდა ხოლმე თავის თავზედ: „კაცი რომ ორმოც წელს გადაშორდება, რადად ვარგა მისი სიცოცხლეო“!

რატომ ამბობდა 47 წლის კაცი ამას! რატომ ჰქონდა ამ ძლიერ პიროვნებას სიცოცხლის ხალისი ასეთი სუსტი და არა შესაბამი? ამისი პასუხი თვით ჩვენ უნუგეშო მდგომარეობაში მოიძებნება.

კიტა არ იყო ისეთი პიროვნება, რომელიც მარტო კერძო ცხოვრებით სულდგმულობს. თორემ მისი კერძო შინაური ცხოვრება ისეთი სასიამოვნო იყო, რომ ზემოხსენებულ უნუგეშო სიტყვებს ის გუნებაშიაც ვერ გაივლებდა: კერძოდ, შინაობაში ისე მძლავრად იყო გარემოცული ოლშვილისა და ახლო ნათესავების ნაზი ტრფიალებით, იგი იყო ისეთი სათაყვანებელი ოჯახის წევრი, რომ იშვიათად თუ ვისმე ღირსებია ჩვენში ასეთი ბედი. რომ დავუმატოთ ამას მრავალ ერთგულ მეგობარ-ამხანაგთა ის მძლავრი სიყვარულის სითბო, რომლითაც ის მათთან იყო დაკავშირებული, მაშინ კიდევ უფრო უცნაურად უნდა გვეჩვენოს კიტას ნაადრევი სასოწარკვეთილება...

მაგრამ კიტა იყო მთელის არსებით საზოგადოებრივი ადამიანი და ამ საზოგადო ძლიერი გრძნობით გატაცებული. ეს გატაცება ხშირად სრულ თავდავიწყებამდე მიიყვანდა ხოლმე მას და მაშინ ამის გარეშე მისთვის არაფერი არ არსებობდა! და სწორედ ეს საზოგადოებრივი მისწრაფების მძლავრი გამოსახულება ძალუნებურად აკავშირებდა მის სულიერ განცდას იმ მწვავე სინამდვილესთან, რომელიც ჩვენშია გამეფებული. საქართველოს საზოგადო პირველარამის მესაიდუმლეს, მას არ შეეძლო თავის თავი გამოეცალკევებია საერთო უნუგეშობის ფერხულიდან და მამულიშვილურის გატაცებით ჩაბმული თვითონაც განაგრძობდა საბედისწერო მოძრაობას, და რა თქმა უნდა, ის უნუგეშობის აჩრდილი, რომელიც ჩვენს ძვირფასს სამშობლოს კარგახანია დასდევს სულთამხუთავ მამინაცვლის სახით—ვერ დარჩებოდა შეუჩნეველი ჩვენ ძვირფასს კიტასაც. არა თუ შეუჩნეველი—პირიქით, ამას დიდი დაღი უნდა დაესვა მისი სულიერი და ზნეობრივი ბუნებისათვის, და ასედაც მოხდა.

ვინც შესწრებია იმ შავბნელ დროს, როდესაც კიტასთან ერთად ვსწავლობდით ქუთაისის გიმნაზიაში 1880—90 წლებში, სადაც ტლანქი ძალა მეფობდა სწავლა-განათლების დიად საქმეში, ვინც შემდეგ ასეთივე უხეში ძალა უნივერსიტეტის სწავლის დროს განიცადა და ცხოვრების სარბიელზედ ვინც გამოსულა იმ საუკუნის დამლეს და ამ საუკუნის დასაწყისს—იგი ადვილად დაგვეთანხმება, რომ ბევრი სიმწარე უნდა გვენახა და ძალიან ცოტა საამური. ამის მასალა სულ ცალკე გამოკვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ეს შორს წაგვივანდა, და ჩვენც ამ ხანად ამას თავს ვანებებთ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ სნეული ხანის მომსწრეთ რისი გუნება უნდა შეგრჩენოდა და რისი ხალისი! მხოლოდ საზოგადო აზროვნებას დაშორებულთ და მეტად უგრძნობელ ადამიანებს თუ გამოეპარებოდათ მწუხარების სულის კვეთება, თორემ ისე ყოვლად წარმოუდგენელია ასეთ პირობებში სულის სიმშვიდე.

კიტას თანდათანი ცვლილებაც აშკარა იყო ყველასათვის, ვინც მასთან დაახლოებული ვიყავით. ყველაზედ სამწუხარო ჩემთვის ეს იყო: კაცი მშვენივრად მომზადებული რთული გონებრივი მუშაობისთვის, შესანიშნავი მცოდნე მწერლობისა და ხელოვნების გატაცებული მ ტრფიალე, ერთის სიტყვით რთულ სალიტერატურო სარბიელისათვის დახელოვნებული, ძლიერებული იყო სრულებით სხვა ასპარეზისათვის შეელია თავისი ძალღონე და ცხოვრების გამოცდილების საუკეთესო ხანა. მართალია, შავი ბედ სამრეწველო საქმეც დიდებული საქმეა, მაგრამ იგი არ მოითხოვდა სრულებით იმ დარგის ქურუმს, რომელისთვისაც კიტა იყო განმზადებული.

ხშირად გამიზიარებია ეს აზრი კიტასათვის, ყოველთვის მეთანხმებოდა, მაგრამ შესაფერისი საიმისო საქმე აქ ტფილისში ვერ ჩანდა და თანაც იქაურ საქმეც ვერ ვუღალატებო, ამას ამბობდა. ტფილისში გადმოსვლის მისი მძლავრი სურვილიც ამ შეუძლებლობის კლდეს ეკვეთებოდა. აქაც დიდი იყო კიტას ტრაგედია! ესეც სრული ჩვენი უსუსურობის აიძძახილი იყო. მართლაც უბედურება არ არის? კაცი მომზადებული იყოს უფრო ძნელი და დიადი საქმისათვის და ადვილსა და ჩვეულებრივს მიალიოს თვისი ძალღონე! ესეც იმ ბეჭავი და მონური არსებობის პირდაპირი შედეგია, რომელშიდაც ჩრდილოეთის ბატონობამ ფერაგულად მოიქცია ჩვენი ბედუანა და მისი ცხოვრება.

ამ მხრივ [illegible] ბატონობა მაინც აკმაყოფილებდა, რადგანაც ეს [illegible] ბის ასპარეზი, მაგრამ რაც მან დასწერა, ეს მხოლოდ უმცირესი ნაწილია იმისი, რის დაწერაც და შექმნაც მას შეეძლო.

ერთად-ერთი სარბიელი, სადაც საკუთარ თავს აკმაყოფილებდა იგი თავს—ეს იყო პოლიტიკური მუშაობა. ამ დარგში ის სულის ჩამდგმელი იყო მთელი ჯგუფისა და მთელი საქმის შესაძენელი ბურჯიც. მაგრამ აქაც ფრთა შეკვეცილი იყო მისი ფრენა იმ მონური წესწყობილების წყალობით, რომელსაც ყველაფერი მაგარის კლანჭებით შეპყრობილი ჰქონდა. და როდესაც ამ საზიზღარ დროს ბოლო მოეღო, როდესაც საქართველოს წყვდიადით მოცულ მიდამოზედ მზემ შემოაშუქა, ვის შეეძლო უფრო მძლავრად ამის განცდა, თუ არ ჩვენ კიტას. მართლაც ამ დროს იგი სრულებით გარდაიქმნა; როგორც ჭაბუკი, ისე მიეცა დაუსრულებელ შვება-სიხარულს და გატაცებულ საქმიანობას. მაგრამ აქაც ბედმა ულალატა—აქაც ამ მხიარულების საგზე ფიალაში მწარე ნალველი ჩაეწვეთა და „ნეტარი წამები უიმედო ავადმყოფობის ტანჯვით მოეწამლა, სწორედ მაშინ როდესაც სამუშაო ასპარეზი თავისუფლად გადაეშალა. ეს იყო ყველაზედ დიდი ტრაგედია კიტასი!

ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ ის მიზეზები, თუ რისთვის გაიტეხა გული კიტამ ძალიან ადრე. ეს მიტომ მოხდა, რომ ძეტად ნაზი და მგრძნობიარე ადამიანი იყო.

ამას კიდევ ერთმა გარემოებამაც შეუწყო ხელი. ბუნებით კიტა სიჭაბუკითვე ნაზი აგებულებისა იყო. ჩვენ მისმა სიჭაბუკის მეგობრებმა კარგად ვიცით, რომ ძას ამ დროს უფრო წიგნი უყვარდა ვიდრე თამაში და გართობა. როდესაც მისი ამხანაგები მოვიწვევდით ხოლმე კიტას რაიმე თამაშისათვის, რითაც მთელი ჯკუფი მეტად გატაცებული ვიყავით, იგი ათასოდეს არ იღებდა ჩვენს „კისრისტეხაში“ მონაწილეობას და უფრო წიგნს მიაშურებდა ხოლმე. ამნაირად გაიმდიდრა მან გონების სალარო, მაგრამ ჯინით კი ასეთ წარმატებას ვერ მიაღწია და ერთ დონეზედ დადგა. ნაზი ბუნება ნაზადვე დარჩა, მაგრამ ამითაც არაფერი დაუშავდებოდა მას, სახამ შრომის პირობები შედარებით ასატანი იყო და სიჭაბუკის ძალაც უფრო ძნელი დასაძლევი, მაგრამ მიატანა თუ არა კიტამ, მისი სიტყვით საბედისწერო ასაკს, შრომა მეტად გაურთულდა. მუდმივი მოუსვენრობა, რომელიც მას დაატყდა თავს შავი ქვის მრეწველთა საბჭოში მუშაობით, ხშირი მოგზაურობა საქმეებისა გამო, არავითარი დასვენება სხეულის ცოტაოდნად მაინც განახლებისა და ძალ-ღონის მოსაკრებად—ყოველივე ეს სულიერ მუდმივ მღელვარებასთან ერთად ვის არ გასტეხდა წელში და არ დაიძაბუნებდა!..

კიდევაც ამიტომ ყოველთვის, როდესაც შევეკითხებოდით კიტას, როგორა ხარო, პასუხად გვესმოდა ერთი და იგივე: „ვერა ვარ კარგად, დაღლილი ვარ, დაქანცული ვარ“, და სხვა ამგვარი.

ყველაფერი ეს აშკარა მაწყენელი იყო იმისი, რომ ნაკისრი შრომა და პირობები მისთვის აუტანელი იყო. გარემოება არ იცვლებოდა, ჯინ ტყდებოდა და კიტას სულიერი განწყობილებაც მშვენვარე საგონებელს ეძლეოდა...

ასეთი მდგომარეობა რამოდენიმე წელიწადს გრძელდებოდა უცვლელად და წაბალ-დაუდებელად.

საზოგადოდ ცნობილია ავადმყოფად ადამიანის მიჩნევა ხშოლოდ მაშინ, როდესაც მას რაიმე მძაფრი სენი გაუჩნდება ან და დიდი ტკივილები და სიცხე მწოლიარედ გახდის. ხოლო ზეზე თუ არის კაცი, ხანდახან ექიმებსაც კი არ მიაჩნიათ იგი ავადმყოფად. ჩვენში სრულებით არ არის გავრცელებული წინასწარი ბრძოლა სისუსტესთან და მოქნკულობასთან და კიტასაც ასე უიღბლოდ დაუტრიალდა ბედის ჩარხი. მოახერხებდა თუ არა ზაფხულში რამოდენიმე დღეთ საქმისაგან განთავისუფლებას, გასწევდა ხოლმე ცოლ შვილთან მთა-ადგილს ვითომდა დასასვენებლად. მაგრამ ორი-სამი დღის შემდეგ საჭირო საქმისათვის ისევ უკან გამბრუნდებოდა იმ დავიდარაბაში ჩასაბმელად, საიდანაც უნებლიეთ სხეული ალლოთი ესწრაფოდა გაქცევას ძალ-ღონის მოსაკრებად. მე თვითონ მახსოვს რამოდენიმე ასეთი მაგალითი, როდესაც ზაფხულის განმავლობაში პატარა-ცემ-

ში მოდიოდა ხოლმე კიტა თავის ცოლ-შვილთან და აგრეთვე აბასთუმანში. ამოსვლისათანავე კიტას ბუნების კალთაზე დაეტყობოდა ხოლმე დიდი ცვლილება. ესთეტიური გრძნობით მდიდარი კიტა, რა თქმა უნდა, მთის ბუნების მშვენიერებით ვერა ძღებოდა, მას ეშატებოდა ხალისი, მწუხარების კოლო სამზიარულოდ ეცვლებოდა, იგი გატაცებით სწერდა, ჰკითხულობდა და სრულს კმაყოფილებას ჰგრძნობდა. მაგრამ ეს კმაყოფილებაც ხანმოკლე იყო. ერთხელ ძლიერ არგუნა ბედმა ათიოდე დღით დარჩენა და საშინლად უკვირდა და ამბობდა: არ მეგონა, თუ ამდენი დღის სიამოვნება დამცალდებოდაო!

არავითარი ჩეში რჩევა, როგორც ექიმისა და მეგობრის, რომ ორი თვით ზაფხულობით მაინც განთავისუფლებულიყო დასუსტებული ჯანის მოსაკეთებლად, თუ ყოველ-წლიურად არა, ერთხელ მაინც მრავალ-წლის მუშაობის შემდეგ—არ გადიოდა; თუნდ კარგად გრძნობდა ამას თვითონ კიტაც, მაგრამ მოუცლელობის გამო ვერ ისრულებდა.

ბოლოს ზედ დაერთო ჩრდილოეთის მძაფრი სიცივე, სადაც საქმეების გამო რამოდენიმე თვეს დაჰყო კიტამ. ამან უფრო დაასუსტა სხეული, მოქანცულობის ნიადაგზედ შეირყა მისი წესიერი მუშაობაც; სხეულის საზრდოობამ წესიერ გზას აუხვია, ერთ ადგილს ძვალი გამოიფიტა და ზიანიც იქ გაუჩნდა. ეს ზიანი ტუბერკულოზის ნიადაგის ალმოჩნდა. აქაც არ ასცდა კიტას უიღბლობა. ისეთის უცნაურობით გადაიხლართა ავადმყოფობის ნიშნები, რომ მაინც საქმიანობაზე ხელს ვერ აღებინებდა. ამნაირად ავადმყოფობის დროსაც მუშაობას თავს არ ანებებდა. გარდა ამისა ექიმებიც ვერ მიგუხვდით სულ თავიდანვე მთავარ სენს. და როდესაც ავადმყოფობამ უკვე დაასრულა თავისი ვერაგი მსვლელობა, მაშინ ხომ სულ შეუძლებელი გახდა შველა. მართალია, თავიდგანაც რომ გაგვეგო მაინც უკურნებელი იყო ეს სენი—მაგრამ მაინც შეიძლება ზოგიერთ ზედ-მეტ ტანჯვას ავაცდენდით ავადმყოფს და ესეც საკმაო ჯილდო იქნებოდა მისათვის საერთო უიმედობის დროს...

ასე დასრულდა ძვირფასი მეგობრის ხანმოკლე არსებობა.

სწორედ დიდი და მძიმე დანაკლისია ჩვენთვის ასეთი მეგობრის დაკარგვა!

ორმოცმა დღემ გაიარა, რაც სამუდამოდ გამოგვემშვიდობა ძვირფასი კიტა, მაგრამ ამ დრომ სრულებით ვერ დაუკარგა სიმწვანე ჩვენს გლოვას. პირ-იქით ვერ შეეჩვიეთ ასეთი მეგობრის გაუჩინარებას და მწუხარება უფრო მძაფრად გვიჯდება.

ყოველთვის დასანანებელია ძვირფასი ადამიანის დაკარგვა, მაგრამ ეხლა, ასეთ დროს მეტად რომ მძიმე რამ არის!

ისედაც მცირეა გულშემატკივარ ქართველთა რიცხვი და რატომ უნდა ჩამოგვშორებოდა ესეთი ძლიერი პატიოსნება, საზოგადო მოსარჩლე და მებრძოლი—სწორედ ასეთ განსაცდელის დროს—ეს მეტად და მეტად გულის დამწყვეტია! მით უფრო რომ ამ სანანულს რამოდენიმე კაცი კი არა გრძნობს, არამედ დიდძალი მისი პატივისმცემელი. იგი ბევრისათვის იყო საყვარელი და ძვირფასი ადამიანი.

ყოველმხრივად დასანანებელი არის კიტას დაკარგვა, მაგრამ მე მეტად მწყინებდა ერთი საქმისათვის, რომელსაც იგი აღდგომასავით მოელოდა და რომელიც იქნებოდა მისთვის ერთ საუკეთესო საქმედ. დღეს გაიხსნა ქართული მეცნიერების პირველი ტაძარი, დღეს, „სანთელი სასანთლისა ზედა დადგეს“, ყამთა სიფისაგან და მტერთა ვერაგობით დაშრეტილმა წყალრომ კვლავ მიაგნო თავის გზას და დაიწყებს დენას. და ასეთ ხანეტარო დროს კიტა ჩვენთან არ ხარობს და არ ლიტანობს! მეტად და მეტად სამწუხაროა! მას პირად ცოდნას, მჭევრმეტყველ ენას და მშვენიერების მოხდენილ საგალობელს, კარგად შეეძლო ნაყოფიერი გუნდრუკი ეკმა ჩვენი ახლად აგებული მეცნიერების ტაძრისათვის. მაგრამ აქაც უიღბლო გამოვიდა კიტა. ტაძარი გვიან გაიხსნა და საქართველო ბედურმი კი ნაადრევად განშორდა საიმისო სამუშაო ასპარეზს!

კიტას გაუჩნარების სიმწარის მეტად საგრძნობლადა ჰხდის მისი ცოლ-შვილის დაობლებაც. მაგრამ ამავე დროს მისი ცოლ-შვილის კიტასადმი უნაზესი განუსაზღვრელი სიყვარული და კიტას ბუნების სრული თანაზიარობა აშკარა მოწმეა იმისი, რომ კიტას კულტი არ გაუჩინარდება, პირიქით იგი მძლავრად იქნება შენახული და ვისიმე სახით ისევე მოგვევლინება. ამნაირად, უკვდავობის აზრი თუ სამუდამოდ არა, რამოდენიმე შთამომავლობის სახით მაინც გამოსახულებას მოიპოვებს და ეს კი საუკეთესო ჯილდოა ყოველი ადამიანის და ხვედრი მხოლოდ რჩეულთა და ძლიერთა.

ძვირფასო კიტა, შენი ხსოვნა მეტად მძლავრია ახლობელ მეგობართათვის, რომ ასე ადვილად შეიძლებოდეს შენი გულიდან ამოღება. შენი აჩრდილი მუდამ ჩვენთანაა, ისე ახლოს და ისე ცხადად, რომ თითქმის ყურებში გვესმის შენი ტკბილი ენის მომჯადოებელი ხმა. ვაგლახ, რომ ხორციელად ესე მალე მოგვშორდი!..

ვახტანგ ლამბაშიძე

26 იანვარს.

გოლის ამბები

ალმაშფოთებელი ამბები ხდება ყოველ-დღე, ალარ არის მოსვენება, ალარ არის დანდობა, ალარ არის ერთგულება თავისუფლების საქმის და რევოლიუციისა ალარ არის ერთმნეთის პატივისცემა და შებრალება. და თუ ერთი ჯერის ხალხი, ვისაც დღეს იარაღი უჭირავს ხელში და მკლავიც უჭრის, ახდენს უწესოებას და ტყვიას არა ჰზოგავს, რომ ჰაერში გაათამაშოს, გინდაც ამის მოძმის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვეს, მეორე ჯერის ხალხი, ჩოთქი და ადლი რომ უჭირავთ ხელთ, დახლს ამოჰფარებიან და მინაბული უთვალთვალებენ—როდის დადგება დრო, რომ ხალხს ყელში წაუჭირონ და ერთი პირი ტყავი კიდევ აიძრონ გადაღვლეპილ ზურგიდან, რამდენი ერთი ითქვას, რამდენი ერთი დაიწეროს. მაგრამ მოთმენასაც ბოლო აქვს და ვაი თუ გატყავებულ ხალხის გრძნობამ სხვაგვარად დაიღაპარაკოს და მაშინ? თქვენ თვითონ განსაჯეთ. სხვა მრავალ კრიზისთან ერთად გორში დიდი კრიზისი ჩამოვარდა ნავთისა. აქამდე კიდევ რა უშავდა, მშიერი იყო თუ მწყურვალი, ავად იყო თუ კარგად, სანათის შუქზე მიჯდებოდა გორელი მოქალაქე ნახევრად ჩამქრალ ბუხართან და მშიერ ცოლს, შვილს დუმილით ელაპარაკებოდა, იგონებდა წარსულს და ის, ზხამიანი და ნაღვლიანი წარსული, დღევანდელ ამბებთან შედარებით ნეტარება ეგონებოდა. რა უშავდა... და დღეს ამასაც გამოეთხოვა. მთელს ქალაქში ნავთი არ იშოვება და მზის ჩასვლისასვე უნდა მიიაშუროს გაოოშილს ლოგინს. ეხლა უფრო გაძნელდა და აუტანელი შეიქმნა ცხოვრება, ქათმებთან ვიძინებთ და მთელს ღამეს მალე გათენების ნატვრაში ვატარებთ. და ამ დროს.. მედუქნეები... ნაგთს ჩუმ ჩუმად ორ მანეთადა ჰყიდიან გირვანქას. 19 იანვარს, მაგალ., მოასწრეს მოვაჭრე არაშაკუნს და დუქანიც დაუბეჭდეს. ერთი მედუქნე ეხლახანს ერთს გლეხს გირვანქა ნავთში ორგირვანქა ფქვილსა სთხოვდა. ნავთი რამდენიც გინდა წაიღეო, და რომ მიხვიდე და ყელი გადაუგდო ნახევარ გირვანქა ნავთისთვის, ხელებ გაშლილ გიპასუხებთ: ვა, მე ვინ მომცა ნავთი... ზამასტოვკაა ვერ უყურებ? მე თვითონ „პრიჭკით“ ვინათებ დუქანსო. ნავთი კერძო სახლებშიცა აქვთ შენახული და ჩუმ-ჩუმად ჰყიდიან გირვანქას მანეთობაზე. ვეკვეთმა დუქნით დალუქვამ რამე უშველოს საქმეს. ლუქი სამი ოთხი დღის-შემდეგ ჩვეულებრივ გაიხსნება ხოლმე და მედუქნე თავისუფლად გაანგრძობს ხალხის ფცქენას და კრიზისის გაძლიერებას. ჯარიმით, სავაჭროს დალუქვით, ორიოდე დღე ციხით ეხლა ვაჭარს ვერ შეაშინებთ. უფრო მკაცრი და გაბედული ზომაა საჭირო, თუ გვსურს ეფსცესებს კრიზისის ნიადაგზე ადგილი ალარ ჰქონდეთ. კმარა ზომიერება და ცდა. თავხედობა და ანარქია თავისით არ მოისპობა, თუ ჩვენ თვითონ არ ვეცდებით მის განელებას. დაუყოვნებლივ უნდა შესდგეს სარეკვოლიუციო ტრიბუნალი ან ამ ტრიბუნალს დაუყოვნებლივ უნდა გარდაეცეს ყველა, ვინც გაბედავს და შეეცდება ხელოვნურ კრიზისის შექმნას და მით ჯერ ბევრის და ანარქიის გაძლიერებას. ასეთი მოვაჭრენი მაშინვე უნდა გაძევებულ იქმნენ ქალაქიდან, ან აეკრძალოთ სამუდამოდ ვაჭრობა და ციხეში იქმნენ გამომწყვდეული.

უეჭველად უნდა შესდგეს საუბნო კომიტეტებიც, რომელნიც მეთვალყურეობას გაუწევენ, არავინ გაჰყიდოს ნავთი, არა ჰყიდონ ჩუმად ნაგთი, შაქარი და სხვ. ზედ-მეტ ფასებში. ქალაქის გამგეობა, კომისარიატი, მილიციონერები უძლურნი არიან ასეთ სპეკულიაციასთან საბრძოლველად. ყველას თავისი საქმე აქვს და ყველგან ვერ გასწვდებიან. უბნის კომიტეტები კი მეთვალყურის როლს მშვენივრად შეასრულებენ, რადგან თითქმის ყველამ იცის უბანში ვინ ეწევა ამგვარ თაღლითობას და ვინ არა. გვირწმუნეთ ეს ნაყოფს მოიტანს და ღვინის ფარული ვაჭრობა, ხალხის ყლეფა და ნავთის, შაქრის და სხვ. გირვანქის ორ-სამ მანეთობით ყიდვა ფრიად შემცირდება. მაშინ ასეთი ფართო ასპარეზი ალარ ექმნება ლოთობასა და ხალხის ძარცვას და კრიზისი ოდნავ მაინც განელდება, კრიზისის განელებით კი ანარქიას ნიადაგი შეუსუსტდება. მაშ მოვკიდოთ საქმეს ხელი!..

ნათელა.

ქართველ მოსწავლე ახალგაზდობას

უმავთულო ტელეგრაფის ანუ რადიოტელეგრაფის მნიშვნელობა სახელმწიფოთა შინაგან ცხოვრებაში და მეტადრე კი საერთაშორისო ურთიერთობისათვის ცნობილია.

ომის დროს და საერთო დეზორგანიზაციის ხანაში კი, როდესაც უბრალო ტელეგრაფის მავთულს ათასგვარი შემთხვევა აბრკოლებს, რადიოტელეგრაფს ძლიერ სერიოზული მნიშვნელობა ეძლევა, რადგანაც ის წარმოადგენს ერთად ერთს საშუალებას ამბავის გადატანისას ერთ სამხედრო ნაწილიდან მეორეში ან და რომელიმე ქალაქთა შუა, მოქმედების რაიონი ძლიერ ვრცელია, მაგალითად, შესაძლებელია პირდაპირი ლაპარაკი პარიზს და ნიუიორკის შუა.

აქედან ცხადია, თუ როგორი ყურადღება უნდა მიექცეს რადიოტელეგრაფის მოწყობას ცალკე ნაციონალურ სამხედრო ნაწილებში. მართალია, თუ ინვენტარის მხრივ ეს საკითხი შედარებით უბრალოდ სწყდება, რადგანაც ნაციონალურ ერთეულთა შორის განაწილებული იქნება არსებული ინვენტარი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისა, ასეთივე არ არის საკითხი რადიოტელეგრაფის მცოდნე მსახურთა შექმნისა. რადიოტელეგრაფზედ სამსახურისათვის საჭიროა სპეციალურად მომზადებული მომსახურე პერსონალი, რომელიც არ ჰყავს არც ერთს ნაციონალურ ერთეულს, ყოველ შემთხვევაში კი ქართველებს.

ამ ომის დროს რადიოტელეგრაფის სკოლა გაიხსნა ქ. ალექსანდროპოლში, სადაც აგზავნიდნენ უფრ დანვითარებულ ახალგაზდა ჯარის კაცებს. ეს სკოლა ეხლაც არსებობს და მას შეუძლია 100 მოსწავლე იყოლიოს. სკოლას აქვს საკუთარი სადგური მაშინებით, სახელოსნოები, ყოველგვარი სახელმძღვანელო და სპეციალისტი—მასწავლებლები.

შეგარება შეიძლება მოხალისეებად, ისე რომ ის ყმაწვილები, რომელნიც სკოლაში შევლენ, გარდა იმისა რომ სრულიად უფასოდ შეისწავლიან ძლიერ საინტერესო და საჭირო საქმეს, სამხედრო ბეგარასაც მოიხდიან. მოხალისეებად შეგარებულნი, როგორც ჯარის კაცები, უფასოთ მიიღებენ როგორც ბინას აგრეთვე ტან ფეხსაცმელს და საჭმელს, რადგანაც ამისათვის სკოლას აქვს სადგომიც და სათანადო კრედიტიც.

მიიღო რა მზედველობაში ყველა ზემოთადნიშნული მოსაზრებანი, საქართველოს ეროვნულ ხაბჭოს სატელეგრაფო სექციამ და მასთანავე გაითვალისწინა ისიც, რომ რადიოტელეგრაფი მარტო დროებით ინტერეს კი არ წარმოადგენს, არამედ ჩვენ საყოველ-დღეო ცხოვრებაშიდაც უნდა შევიდეს შემდეგში, დაადინა მიმართულ ქართველ მოსწავლე ახალგაზდობას და მოუწოდოს მას შევიდეს ალექსანდროპოლის რადიოტელეგრაფის სკოლაში ზემო აღნიშნულ წესით.

ამ ეამად შეიძლება მიღება არა უმეტეს 50 ქართველისა. სასურველია, რომ ამ რიცხვში შეალიონ უმთავრესად სპეციალურ სასწავლებლების სტუდენტები, უნივერსიტეტის და საშუალო სასწავლებლების მოწაფენი ან უმცირეს მეექვსე კლასისა, რადგანაც საჭიროა ერთიანი წინასწარი მოსაზდება. სკოლაში, გარდა აპარატების მოხმარებისა, მოსწავლეებს გაეცნობენ აგრეთვე მაშინების მოწყობილობას და რემონტს. პარალელურად მისცემენ ზოგიერთ თეორიტიულ ცნობებსაც, სწავლა გაგრძელდება არა უმეტეს სამი თვისა, რის შემდეგაც სწავლა დამთავრებულები დაინიშნებიან სათანადო სამხედრო რადიოტელეგრაფის სადგურებზედ.

შეგირების შესახებ დაწვრილებითი ცნობანი მსურველთ შეუძლიათ მიიღონ სატეხნიკო სექციის პრეზიდიუმში (ფრეილინის ქუჩა, № 11), სადაც საჩქაროდ ადგენენ მსურველთა სიას.

სატეხნიკო სექციის პრეზიდიუმის მონდობილობით მდივანი ინჟენერი ბ. ჭოჭინაძე.

ფემოფიერულება

რედაქციამ მიიღო ალექსანდრე ელიზბარის ძე გუნდიევის ხსოვნის აღსანიშნავად ნაცვლად გვირგვისა ნიკ. ფარ. ყარაჩინოვისაგან ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ ხუთი თუმანი.

—

ანგარიში წარმოდგენისა, რომელიც გაიმართა 1917 წ. 13 დეკემბერს ქართულ საქალებო გიმნაზიის ლარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

შემოსავალი:

გაყიდული ბილეთები	2,460 მ.	35 კ.
ბუფეტი	353 „	40 „
პროგრამები . . .	255 „	—
შემოწირულება . .	109 „	60 „
სულ . . .	3,183 მ.	35 „

გასავალი:

თეატრი	900 მ.	—
ბუფეტი	98 „	—
პროგრამები . . .	25 „	—
განცხადება გაზეთებში	40 „	—
სულ. . . .	1,063 მ.	—
ნაღდი შემოსავალი.	2,120 მ.	35 კ.

შემომწირველნი: კ. მარია ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა 25 მან., ა. ს. ზაკრევსკისამ 17 მ. 40 კ., ნ. ნ. გაბაშვილისამ 9 მ. 70 კ., ნ. ს. გაბაშვილმა 20 მ, 35 კ., ფ. კვარიანისა 2 მ., დ. ბ. ხელთუბლიშვილი 3 მ., გ. ნ. დიასამიძე 5 მ., ვ. ი. ლომინაძე 3 მ., ვ. ი. რცხილაძე 6 მ., ა. ი. კლდიაშვილი 3 მ., ვ. დ. ციციშვილი 2 მ. 50 კ., კ. ი. მამაცაშვილი 3 მ., დ. ი. ჩოლაყაშვილი 2 მ. 35 კ., ხავლიანი 4 მ. 35 კ., ხოშტარია 10 მ. სამსონიძ 3 მ.; მოწაფეებისაგან 6 მ. 5 კ. წვრილი შემოწირული 90 კ., ლ. მალალაშვილი 1 მ.

რისთვისაც ქართველ ქალთა გიმნაზიის სამზრუნველო საბჭო გულითად მადლობას უცხადებს როგორც შემოწირველთ ისე დამსწრე საზოგადოებას.

გამომცემელი
ხამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ექიმი
ე. ლ. ფალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი კბილიხა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
ბ. ბ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
თ. ი კ ა ნ ა ძ ე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
ი. ბ. კონიევი
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდის-უბნის ქ., № 3. 55

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. ბაგლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
ფ. ფ. ფავლეიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 ს. მისამართი: კუთხე მუხრანისა და ბაგრატიონის ქუჩისა № 23/31. 1004

ექიმი
ბ. ბ. მუხაძე
იღებს საღამოსტამდე ავადმყოფებს საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიციერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირველ სართ. სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა საავადმყოფოსი, იღებს 1½—3½ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სარგიევის ქ. № 1. ტელ. 18—87. 1009

ექიმი
პავლე ბრდაზიანი
დაბადებული თბილისში, ბ. ბ. ... ავადმყოფთ, ... 8—9 ს. ... 1006

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 ს. ... ყოფილ ანოვის ქ. № 6.

ექიმი
ფ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პრ. პექტი № 117.

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ... მედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულებიანი კლინიკისა.
იღებს ავადმყოფებს
ახალ გინაზე
გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად.
საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ-დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბო-მონდის“ პირდაპირ. 1029

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
ავეტეხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ბ. ბ. აგასარიანი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამინოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1001

„სახალხო საქმე“-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია“ ორივე ტომი	6 მ.
ლონტი თ. „ეკონომია და ფედერაცია“ წ. I	4 „
გრდელი წ. I	3 „
ქართველი მწერლები.	2 „
უცხოეთის „	2 „
შიუკაშვილი—„მეგობრობა“.	— 60 „
ჯანაშვილი—„თამარ მეფე“.	1 „ 20 „
ფირცხალავა ს. „სამეჰმადიანო საქართველო“	— 40
ლონტი თ. რუსული წიგნიკი—„ფედერალიზმი“	— 50

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიც ... შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მოლაპარაკებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე“.

ექიმი
ბ. ბ. ზანდუკელი
ასისტენტი ბოსკოვის სანატორიუმ სამკურნალ. ექიმ ნ. ბ. კიშკინისა იღებს შინაგან და ნერვების ავათმყოფებს (ფსიხიოტერაპია) სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, ¢ პარასკევს 3—5 ს. ოღლას ქ. № 22. 132

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
დოქტორი მედიცინისა მიუნხენის უნივერსიტეტისა. შინაგანი, ბავშვ., საბებიო და საშვილ. სნეულ. მიიღ. ყოველ დღე დილ. 9—10 ს. საღ. 5—6 საათ. უფასოთ მიიღ. ყოველ. დღე დილ. 8—9 ს. სოლოლაკი გუდოვიჩის ქუჩა № 6. მე 3 სართ. 134

საგუკეთესო ტრ
კურსები
ბ. ჯ. ტერ-დავიდოვისა
ნიკოლოზის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
ბ. ბ. მეჰრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა.
შინაგან ავადმყოფობა—ჰლექი ¢ გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა ... ხნიგებით, თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილის 9—1 ს. დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—91. 683

სტამბა
სახალხო საქმე
ტფილისი
ბარონის ქუჩა
№ 14
სტამბა ასრულებს ყოველ-გვარ სასტამბო საქმეებს
სუფთად, იაფად და თავის
დროზე